პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე.

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მუშ.
დეპ. საბ.
ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10-49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ხორციელებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ხორციელებით.

№ 293 ხუთშაბათი, 20 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცით. № 293

Коллекция [illegible]

## დ ღ ი უ რ ი

საბერძნეთის პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვეს ვენიზელოსის მომხრე კონსერვატორებმა და რესპუბლიკანელებმა.

აჯანყება მექსიკაში ფართოვდება; აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი პუებლა.

ინგლისმა შეიერთა სამხრეთის პოლიუსი.

ტარნოპოლში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში.

# საქარ. კომპარტიის ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუცია პარტმშენებლობის შესახებ

### ერთხმად მიღებული 1923 წ. 17 დეკემბრის სხდომაზე.

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაფართოებული პლენუმი სამაზრო და რაიონული კომიტეტის მდივნებთან ერთად სავსებით უერთდება რ. კ. პ. ც. კ. და ც. საკონტროლო კომისიის დადგენილებებს პარტმშენებლობის შესახებ. პლენუმი თვლის, რომ ეს დადგენილებები ცხოვრებაში გატარებული უნდა იქნან მთელი სიმტკიცით და ენერგიით. პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და განსაკუთრებით კი პირველი საფეხურის უჯრედებს და პარტიის უბრალო წევრების მასას თვალყური ადევნონ ამ დადგენილებების სისწორით და მტკიცედ გატარებას და ყოველივე ზომებით შეუწყონ ხელი მათ განხორციელებას.

2. აღიარებს რა, რომ რ. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუცია პარტმშენებლობის შესახებ, ამომწურავ პასუხს იძლევა ყველა იმ მთავარ პრობლემების შესახებ, რომლებიც დღევანდელ პირობებში პარტიის წინაშე წამოიჭრენ, პლენუმი საჭიროდ თვლის ამ რეზოლიუციის გადატანას ყველა პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის ყველა წევრების მიერ განსახილველად. ეს საჭიროა პირველყოვლისა იმისათვის, რომ მთელმა პარტიულმა მასამ შეითვისოს ახალი კურსი, რომელიც აიღო პარტიამ პარტ შენებლობის საკითხებში, და მეორეთ იმისთვის, რომ ადგილობრივ, პარტიის ყველა წევრების მონაწილეობით, გამოირკვეს ამ კურსის პრაქტიკული განხორციელების საშუალებები.

3 პლენუმი ამასთან ერთად გადაჭრით აცხადებს, რომ „პარტიის ძირითად ხაზს შინაპარტიული მშენებლობის და შინაპარტიული პოლიტიკის სფეროში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში“ სავსებით სწორად თვლის პლენუმი გადაჭრით უარჰყოფს ზოგიერთი ამხანაგების მტკიცებას, თითქო „ეს პოლიტიკა სასტიკ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა იმ ამოცანებთან, რომელსაც აყენებს ჩვენს წინაშე ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. ამ პოლიტიკამ უზრუნველჰყო პარტიისათვის მთლიანობის, ძლიერებისა და რევოლიუციონური ავტორიტეტის შენარჩუნება უკან დახევის ძნელს პერიოდში, არაჩვეულებრივათ მძიმე ბრძოლის დროს წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიასთან, რომელიც წარმოშვა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. ეს პოლიტიკა მიუხედავად იმ ნაკლოვანებათა და გადახრებისა, როგორითაც ის ტარდებოდა მრავალ შემთხვევაში, მაინც იცავდა პროლეტარული პარტიის შემტკიცებული რიგები და უზრუნველჰყო მისს ყველა ანტისაბჭოთა პარტიებისაგან (მენშევიკები, ესერები და სხვა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც გაიხრწნენ და დაიშალნენ საბოლოოდ სწორედ უკანასკნელ პერიოდში) მუშებისა და გლეხობის უკანასკნელი კადრების ჩამოშორება. მაგრამ პლენუმი თვლის, რომ წარსული პერიოდისათვის შინაპარტიულ პოლიტიკაში სწორი ძირითადი ხაზის აღიარება, პარტიის წევრებს არ უნდა უხურავდეს თვალს იმაზე, რომ პრაქტიკაზე ეს ხაზი ძლიერ ხშირად და მრავალ ადგილებში მახინჯდებოდა. პლენუმი ადასტურებს, რომ ეს ხდებოდა მთელ რიგ ობიექტიური და სუბიექტიური მიზეზების გამო (სამხედრო პერიოდის ნაშთები და მის მიერ შექმნილი შეხედულებები, რომლებიც ინერციით დარჩნენ, პარტიის როგორც უბრალო წევრების, ისე ცალკე პარტორგანიზაციების ხელმძღვანელების კულტურულ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა, საბჭოთა ბიუროკრატიულ-მოხელეური აპარატის ზეგავლენა კომუნისტებზე, რომლებიც მასში მუშაობენ, და ბოლოს საგარეო და შინაურ დაბრკოლებათა ზოგიერთი მომენტები, [illegible] ხასიათის, რაც პარტიისაგან მოითხოვდა თავის რიგების სამხედრო წესებისამებრ მოწყობას) პარტიის ყველა ღონისძიებები მიმართული უნდა იქნენ იმ ფაქტორების აცილებისაკენ, რომლებიც ხელს უშლიან საერთო პარტიული ხაზის განხორციელებას, იქითკენ, რომ უმაღლესი პარტიული ორგანოების დადგენილება სისხლ-ხორცს იძენდეს და არ მახინჯდებოდეს ცხოვრებაში გატარების დროს.

4. პარტიის მთლიანობის ინტერესებისათვის, რ. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. დადგენილებების ნამდვილი განხორციელების ინტერესებისათვის, პლენუმი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს და პარტიის ყველა ორგანიზაციებს, შეკავშირდენ ამ დადგენილებების გარშემო და მიმართონ პარტიის მასა პარტიის წინაშე წამოჭრილი ამოცანების მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი განხილვისაკენ და პარტიის ნაკლოვანებათა საქმიან, მაგრამ არაფრაქციულ და ანტიპარტიულ კრიტიკისაკენ. პლენუმი წინადადებას აძლევს ც. კ. და ც. ს. კ. და ყველა პარტორგანიზაციებს განსაკუთრებით ადევნონ თვალყური იმას, რომ პარტიის თითოეული წევრისათვის უზრუნველყოფილი იქნას რომელიც გინდა პარტიული დადგენილების თავისუფალი კრიტიკის ნამდვილი შესაძლებლობა, მაგრამ ისე, რომ კრიტიკის თავისუფლების სახით არ იქნას დაშვებული ანტიპარტიული მენშევიკური და აშკარა ნაციონალისტური შეხედულებების პროპაგანდა და რომ კრიტიკის თავისუფლება და შინაპარტიული დემოკრატია არ იქნას გამოყენებული პარტიის შიგნით რაიმე ჯგუფების და ფრაქციების შესაქმნელათ და გასაძლიერებლათ. რ. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. დადგენილებების სწორად განხორციელების საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს პარტიის სრული მთლიანობის დაცვა და პარტიული მასების მაქსიმალური აქტივობა.

5 პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა სამაზრო კომიტეტებს, რაიონულ კომიტეტებს და უჯრედებს ახლავე დაიწყონ ყველა იმ საკითხების წამოყენება, რომელთა წამოყენებას პარტიის მიერ განსახილველად პარტიული ორგანიზაციები საჭიროდ სთვლიან.

6. პრესაში ყველა იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც რ. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. დადგენილებებთან არიან დაკავშირებული, გამოსცეს გაზეთ „კომუნისტთან“ და „რაბოჩაია პრავდა“-სთან სადისკუსიო ფურცელი, მასალების დაგროვების მიხედვით, დისკუსიაში პირველ რიგში ჩაბმულ იქნან მუშური უჯრედები და დაზგასთან მომუშავე მუშა-კომუნისტები.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ბ. ლომინაძე.

# მთლიანობის ნიშან ქვეშ

დაწყებული შინაპარტიული დისკუსია, როგორც ჩანს, თავის ახალ ხანაში შედის. პირველი „ციებ-ცხელება“, რომელიც ხშირად უშლიდა ხელს საკითხის სწორად დაყენებას, ადგილს უთმობს ყველა ფაქტების ფხიზლად გათვალისწინებას და სრულიად სწორი პარტიული ხაზის აღნიშვნას, რომელიც უზრუნველჰყოფს პარტიის როგორც ნაკლოვანებათა გამოსწორებას, ისე იმ ორგანიზაციული ხერხემალის შენარჩუნებას, ურომლისოთაც არ შეუძლია არსებობა მებრძოლ პროლეტარულ პარტიას. ჩვენი პარტიული ცხოვრების დაგროვებულ ნაკლოვანებათა გამო, რომლებიც სრულიად სამართლიან უკმაყოფილებას იწვევენ ფართე პარტიულ მასაში, აუცილებელი შეიქნა მდგომარეობის გამოსწორება. ამიტომ კურსი მუშური დემოკრატიისაკენ მიღებული იქნა პარტიის მიერ სრული ერთსულოვნობით. რასაკვირველია, შეიძლება,—და ალბათ ასეც მოხდება,—ზოგიერთი ნამდვილათ ბიუროკრატიული ელემენტები გაჯიუტდებიან. მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ ეს პირუტყობა დაძლეული იქნება პარტიის ერთსულოვანი ნებისყოფით.

მაგრამ იმიდან, რომ საჭიროა ჩვენი აპარატის გაწმენდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დასკვნის გაკეთება ჩვენი აპარატის დარბევის შესახებ. ამავე დროს, ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებენ თავისი შეხედულებებისათვის, ხშირად ისე აყალიბებენ მას, თითქო ლაპარაკია საერთოდ „აპარატისა“ და „აპარატჩიკების“ წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს შეხედულება ძლიერ-ფესვიანად შემცდარია. უფრო მეტი, ის მეტად საშიშია. ვინაიდან, თუ ჩვენს პარტიას გამოვგლეჯთ მის ორგანიზაციულ ხერხემალს, მის ჩონჩხს, მის „აპარატს“, პარტიისაგან არაფერი არ დარჩება, გარდა დაქსაქსული, შეუკავშირებელი მასისა. თუ არ შეიძლება პარტიის შედარება არმიასთან, მაშინ არ შეიძლება მისი შედარება ბრბოსთანაც. ჩვენი აპარატის ათვალწუნება მხოლოდ იმიტომ, რომ ის აპარატია, ეს ნიშნავს, ვანიდან წყალის გადასხმასთან ერთად ბავშვის გადაგდებასაც. სწორეთ ამისკენ კი მივყავართ, ზოგიერთი ამხანაგების სურვილის გარეშეც, აპარატისადმი იმ სიძულვილით აღსავსე აგიტაციას, რომელიც ისმის ჩვენს ზოგიერთ კრებებზე.

დისკუსია არ შეიძლება წარმოვიდგინოთ და ვაწარმოოთ ისე, თითქო ამ დისკუსიის დროს „აპარატი“ და პარტიის ხელმძღვანელი დაწესებულებები არც კი არსებობენ, რომ იწყება რაღაც გარდამავალი ხანა, როცა პირველყოფილი ქაოსიდან იქმნება სრულიად წმინდა, ბიუროკრატიული ცოდვით შეუბღალავი ახალი აპარატი, რომელიც აპარატი კი არ იქნება. ასე გულუბრყვილოდ საქმის წარმოდგენა დაუშვებელია. ასეთი თვალსაზრისი პრაქტიკაზე იწვევს ორგანიზაციის დანგრევას.

ის, რაც მოეთხოვება პარტიის წევრებს, არის ზრუნვა აპარატის განახლებაზე, გამოცოცხლებაზე, მისთვის მეტი ელასტიურობის მინიჭებაზე. ასე—და მხოლოდ ასე—შეიძლება საკითხის დაყენება.

რასაკვირველია, ჩვენ კატეგორიულად გვესაჭიროება, როგორითაც არ უნდა მოვახერხოთ ეს, გვესაჭიროება პარტიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხების, პარტიის წევრების მასის მიერ განხილვა. დისკუსია მათ გამო,—დისკუსია არა დისკუსიის გულისათვის, არამედ საქმიანი დისკუსია—გვესაჭიროება ჩვენ, როგორც პური და წყალი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი პარტიის კულტურულ-პოლიტიკური ზრდის მიღწევა მაგრამ ყველასი და თითოეულის ეს თავისუფლება არ ნიშნავს ფრაქციული ბრძოლის თავისუფლებას, როცა არსებობენ ამხანაგების გაერთიანებანი გარკვეული პოლიტიკური პლატფორმით, თავისი ძალების გეგმაშეწონილი განაწილებით და შინაური, ცოტათ თუ ბევრათ, მტკიცე დისციპლინით. როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პოლიტბიუროს რეზოლიუცია, ეს დაკავშირებულია მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის დაქუცმაცების საფრთხესთან. და ბუნებრივია, რომ ეს საფრთხე თავის დროზე აღნიშნა ც. კ. ერთსულოვნად მიღებულმა რეზოლიუციამ.

თუ დისკუსიის დასაწყისში არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება აღვიძებდა არაფხიზელ სულიერ განწყობილებას ჯიხის გადახრით „აპარატის“ წინააღმდეგ დემოკრატიის მოთხოვნით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (ფრაქციების თავისუფლებამდი) ძსხვა, ჩქარა საგრძნობი გახდა მუშური აზრის ფხიზელი ნაკადი, რომელიც აფასებს ორგანიზაციას, იცის მისი წყლულების განკურნება, მაგრამ იცის აგრეთვე მისი დაფასება და მოვლა და არა მისი „იქმობა“ გრძნობის დაკარგვამდი. მოსკოვის კრებების მთელი რიგი სრულიად ნათლად ამტკიცებს, რომ „ახალი კურსი“ გატარდება ისე, როგორც საჭიროა მისი გატარება, და არა ისე, როგორც სურთ გამოიყენონ ის იმათ, რომლებმაც არ იციან ჩვენი ცენტრალისტური და დისციპლინის მქონე პარტიის საფუძვლების დაცვა. პარტია შესძლებს როგორც თავისი მთლიანობის, ისე თავისი აპარატის დაცვას, გასწმენდს მას და მიაღწევს მისი მოქნილობის იმ დონეს, რომელიც საჭიროა მორიგი ამოცანების გადასაჭრელად *).

---

*) მოსკოვის „პრავდა“.

# სოციალური დაზღვევის საკითხები

### (ამიერ-კავკასიის დამზღვევ ორგანოების თათბირის გამო)

საბჭოთა სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა, სოციალური დაზღვევის საქმის ისეთი ორგანიზაცია, როგორც გვაქვს ჩვენს რესპუბლიკებში, ერთი უდიდესი და უძვირფასესი მონაპოვართაგანია ოქტომბრის რევოლიუციის, მუშათა კლასის გამარჯვების.

სოციალურ დაზღვევის სფეროში ბევრი მეტად მნიშვნელოვანი რამ არის გაკეთებული ჩვენში, ძალიან დიდი შედეგებია მიღწეული.

დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი ავადმყოფობის დროს სავსებით არიან უზრუნველყოფილნი და ღებულობენ დაზღვევ კასიდან სრულ ხელფასს, იმდენს, რამდენიც მათ ეძლეოდათ დაწესებულება-წარმოებიდან იქ სამსახურისა და მუშაობის დროს.

ძველ რეჟიმთან ერთად წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მუშა-მოსამსახურე ავადმყოფობის შემთხვევაში რჩებოდა ბედის ანაბარა, როცა ის მოკლებული იყო სახელმწიფო დახმარებას.

ამ მხრივ მისი ნივთიერი მდგომარეობა დღეს შეუდარებლად გაუმჯობესებულია და უზრუნველყოფილი.

მუშა-მოსამსახურე აგრეთვე სარგებლობს უფასო წამლით და ექიმობით.

შედარებით სუსტადაა დაყენებული დახმარების საქმე სიკვდილისა და მშობიარობის შემთხვევებში, გარდა ამისა—უმუშევართა, დავრდომილთა და ქვრივ-ობოლთათვის. აქ დახმარების რაოდენობა ძალიან მცირეა და ის ვერ აკმაყოფილებს მაზე შემყურეთა მინიმალურ მოთხოვნილებებსაც-კი.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ღარიბნი ვართ, ჩვენი მეურნეობა და საერთოდ ეკონომიური ცხოვრება საკმაოდ არ არის მოღონიერებული; ამასთან დაკავშირებით მცირეა სოციალური დაზღვევის ფონდი.

სოციალური დაზღვევის ხარჯები თანდათან უფრო მატულობს, ვინემ შემოსავალი. შედარებისათვის ავიღოთ, მაგ., ორი თვე—იანვარი და ივლისი. რესპუბლიკის დამზღვევ ორგანოებს დაუხარჯავთ ა. წ. იანვარში 26 687 საქ. მან., ხოლო ივლისში—96.708 მ., ე. ი. 362,4 პროცენტით მეტი; იანვარში შემოსულა—37.226 საქ მან., ივლისში—103.854 მან., ე. ი. 279,0 პროცენტით მეტი. ჩვენ ვხედავთ, რომ ივლისის ხარჯი აღემატება ამავე თვის შემოსავალს 83,2 პროცენტით.

ასეთი არაპროპორციული ზრდა ხარჯისა შემოსავალთან შედარებით აიხსნება იმ გარემოებით, რომ რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ხალხი აწყდება დამზღვევ კასას დახმარებისათვის.

მაგ., იანვარში დაზღვეულთა რიცხვი უდრიდა 487 ს; აგვისტოში კი—1050-ს; პენსიონერთა რიცხვი: იანვარში—1.062-ს; აგვისტოში—5.394-ს; ავადმყოფობის გამო გაცემული დღეების რაოდენობა: იანვარში—18.457-ს, აგვისტოში—28.641-ს.

დაზღვევის იდეა თანდათან პოპულარული ხდება; დაზღვევით მინიჭებულ შეღავათებს მუშა-მოსამსახურენი უფრო და უფრო იყენებენ. მოსალოდნელია და აუცილებელიც ამ პროცესის შემდეგი განვითარება.

ამგვარად, მოთხოვნილება ფართოვდება, ხარჯი იზრდება. ამ გარემოებამ შეიძლება დაზღვევის საქმე დიდ განსაცდელში ჩააგდოს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დაზღვევის საქმის ფართოდ დაყენება დამოკიდებულია ჩვენი მეურნეობის აღორძინებაზე, ქვეყნის ეკონომიკის მოღონიერებაზე. ამ მხრივ ჩვენ კიდევ შორსა ვართ სასურველ მდგომარეობიდან.

ამიტომ ახლო მომავალში ობიექტიურად შეუძლებელია დახმარების ნორმების ცოტად თუ ბევრად საგრძნობლად გადიდება.

ჩვენს უმთავრეს ამოცანას დღეს შეადგენს საერთოდ შევინარჩუნოთ უკვე მიღწეული შედეგები. ამასთან, რამდენადაც შესაძლებელია, მცირედ მაინც აგწიოთ ერთდროული დახმარების ნორმები, აგრეთვე დახმარება უმუშევრებისა, დავრდომილთა და ქვრივ ობლებისათვის.

ამასთან აუცილებელია მოწესრიგდეს დაზღვეულების მიერ დახმარების თავის დროზე და გაცემის დღის კურსის მიხედვით მიღება. დღეს კი ამ მხრივ მდგომარეობა ხშირად არანორმალურია.

ამ მიზნების განსახორციელებლად საჭიროა დამზღვევ ფონდის გაძლიერება.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა დამზღვევ კასისადმი დაწესებულება-წარმოებათა დავალიანებას. ამ საკითხის შესახებ ბევრი დაწერილა ჩვენს გაზეთში. დაწესებულება-წარმოებებს და მით უმეტეს კერძო პირებს კარგად არა აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა დამზღვევ კასის წინაშე. ზოგიერთი მათგანს საგებით არ შეაქვს ხვედრი გადასახადი, ან შეაქვს დაგვიანებით, რაც ძალიან აფერხებს დამზღვევ ორგანოების ნორმალურ საქმიანობას.

ბოლო დროს აქაც შემჩნეულია წინ წაწევა. დამზღვევ კასაში შემოდის ნორმის დაახლოვებით 70 პროც. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა დავალიანების სრული ლიკვიდაცია. ამისათვის დამზღვევ ორგანოებმა უნდა მიმართონ, როცა ეს აუცილებელია კანონით მინიჭებულ იძულებითი ზომებს. აგრეთვე საჭიროა წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციაზე ამ მხრივ ზეგავლენა და კონტროლი იქონიონ თვით მუშა-მოსამსახურეებმა, თავიანთი ორგანიზაციების, კომუჯრედების, ადგილკომების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და პროფკავშირების საშუალებით.

გარდა ამისა, საჭიროა გაძლიერებულ იქნას კონტროლი დაზღვევის შეღავათის და დახმარების მიღების დროს.

ეჭვი არ არის, რომ დღეს ამ მხრივ დეფექტებს აქვს ადგილი. ავადმყოფობა, თუ სხვა შემთხვევა სასტიკად უნდა იქნას შემოწმებული და დახმარება მიეცეს მხოლოდ იმათ, ვინც ამას ნამდვილად საჭიროებს. ამით ხარჯიც შემცირდება და მეტი სამართლიანობაც იქნება დაცული.

მომჭირნეობის მიზნით აგრეთვე საჭიროა, რომ დამზღვევი ორგანოები ძალიან არ გაიტაცონ ისეთმა გეგმებმა, რომლებიც ერთბაშად დიდძალ თანხას თხოულობენ, როგორიცაა სანატორიუმის, დასასვენებელი სახლების და სხვათა აშენება-მოწყობა.

ცხადია, ყველაფერი ეს საჭიროა, მაგრამ საამისო საშუალება ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. დაზღვევის ფონდი პირველ ყოვლისა უნდა იქნას მოხმარებული დაზღვეულთათვის პირდაპირი დახმარების აღმოსაჩენად.

კიდევ გვინდა მივაქციოთ ყურადღება ერთ საკითხს. ინტერესი დაზღვევის საქმისადმი გაძლიერებულია მუშათა კლასში. მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ ერკვევა დაზღვევის თეორიის და პრაქტიკის საკითხებში, საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობაში, დაზღვევის ორგანიზაციაში და სხ.

ჩვენ თავის დროზე ჩავატარეთ სოციალურ დაზღვევის კვირეული. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სისტემატიურად ვაცნობდით მუშათა კლასს დაზღვევის საქმეს ყოველმხრივ, როგორც ზეპირი მოხსენებებით და აგიტაციით, ისე საჭირო ლიტერატურის გამოცემით და გავრცელებით.

ყველა ეს საკითხები უდიდესი ყურადღების ღირსია.

ამიერკავკასიის დამზღვევ ორგანოთა თათბირი, რომელიც იხსნება დღეს ტფილისში, ამაზე იქონიებს მსჯელობას. ეს თათბირი, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს სოციალურ დაზღვევის სფეროში წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას.

# რადიო-დეპეშები

### („ზაკროსტა“-ს ცნობები)

# კაპიტულიაციის მთავრობა „მუშაობს“

## გერმანიის პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას

**პუანკარე თანახმაა გამართოს მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან, მაგრამ იმ პირობით, რომ გერმანია „სრულ მორჩილებას გამოიჩენს“ და „პირნათლად შეასრულებს ვერსალის ხელშეკრულებას“.**

**ბერლინის პოლიციამ დაატუსაღა უმუშევართა არალეგალური ყრილობა.**

**ლეიპციგში კომუნისტებმა არ ალაპარაკეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ზოლმანი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიც პროტესტს აცხადებს უმუშევართა ყრილობის დატუსაღების გამო.**

**რურის ოლქის რკინისმჭრელები „მოღალატეს და მხდალს“ უწოდებენ გერმანიის მთავრობას, რომელმაც სიმშილობის მსხვერპლი გახადა გერმანიის მუშათა კლასი.**

## კაპიტულიაცია ბოლომდის

**ახალი წინადადება საფრანგეთის მთავრობას.**

ბერლინი. 18 დეკემ. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც მიუთითებს იმაზე, რომ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს გადასცეს საფრანგეთს ახალი წინადადება დაკავებულ ოლქებში გერმანიის მმართველობის აღდგენის და დაკავებულ ოლქებს და დაუკავებელ გერმანიის შორის რკინის გზაზე მიმოსვლის განახლების შესახებ.

**გერმანია და სამხრეთ სლავია.**

ბერლინი. 18 დეკემ. გერმანიის მთავრობამ გაუგზავნა სამხრეთ სლავიის ნოტა, რომელშიაც აღუთქვამს ახლო მომავალში სარეპარაციო ნახშირის მიწოდების განახლებას.

**ნაადრევი ოპტიმიზმი.**

ბერლინი. 18 დეკემბ. გერმანიის ბურჟუაზიული პოლიტიკური წრეები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და მათ იმედი აქვთ, რომ მთავრობის ნაბიჯებს სასურველი შედეგები მოჰყვება. ამ წრეების აზრით, ამერიკის თანხმობა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ექსპერტთა კომისიაში, ინგლისის არჩევნების დასასრული, რომელმაც გავლენა მოახდინა პუანკარეს პოზიციის შეცვლაზე, პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა და გერმანიის მარკის სტაბილიზაცია—არიან ისეთი ფაქტორები, რომლებიც ფრიად ხელსაყრელია გერმანიისათვის.

მთელი გერმანული პრესა დაწყებული „ფორვერტსით“ და გათავებული „დეიჩე ციტუნგით“ ერთხმად ესალმება მთავრობის ზომებს და იცავს იმ აზრს, რომ „60 კაცისაგან შემდგარმა კომისიამ არავითარი პოლიტიკური მოლაპარაკება არ უნდა აწარმოვოს ტირართან.

## მუშები განაგრძობენ ბრძოლას

**უმუშევართა ყრილობა.**

ბერლინი. 18 დეკემბ. პოლიციამ აღმოაჩინა სრულიად გერმანიის უმუშევართა ყრილობა, რომელიც შეკრებილი იყო სასპორტო ყრილობის სახით. საიდუმლო პოლიციის აგენტები მოულოდნელად გამოცხადდენ ყრილობაზე და დააპატიმრეს ყველა დელეგატები, რიცხვით 300 კაცი. მეორე კრება, რომელიც გამართული იყო ვედინგის ქუჩაზე 70 დელეგატის მონაწილეობით აგრეთვე იქნა დაპატიმრებული.

**საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნები.**

ბერლინი. 18 დეკემ. კილში მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არჩევნების დროს კომუნისტ წევრების რიცხვი გაიზარდა, ხოლო სოციალ-დემოკრატების კი შემცირდა. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს კომპარტიის ბრძოლის უნარიანობას და გამარჯვებას და აცხადებს, რომ პარტიის აკრძალვის შემდეგ უკანასკნელი კიდევ უფრო გაძლიერდა.

**უმუშევართა ყრილობის გამო.**

ბერლინი. 18 დეკემბ. ვოლფის სააგენტოს ცნობით, უმუშევართა ყრილობაზე, რომელიც დაპატიმრებულ იქნა, მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით 400 კაცი. დაპატიმრებულთა მეტი ნაწილი დაკითხვის შემდეგ განთავისუფლეს, დანარჩენები კიდევ დაპატიმრებული არიან.

## „დაშლილი“ კომპარტია მასებს ბრძოლისაკენ მოუწოდებს

**კომუნისტების გამოსვლა ლეიპციგში.**

ბერლინი. 18 დეკემბერი. ლეიპციგში კომუნისტებმა ლაპარაკის საშუალება არ მისცეს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს სოციალ-დემოკრატ ზოლმანს, რომელმაც სცადა სოციალ-დემოკრატების მიერ მოწვეულ კრებაზე გამოსვლა. კომუნისტ ბეტხერის გამოსვლის შემდეგ პოლიციამ კრება გარეკა.

**კომპარტიის მოწოდება.**

ბერლინი 18 დეკემბერი. კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც პროტესტს აცხადებს უმუშევართა ყრილობის დაპატიმრების წინააღმდეგ. **„კომპარტია ნათქვამია მოწოდებაში, მხარს უჭერს უმუშევრებს, რომლებიც თვით სამხედრო დიქტატურის დროსაც იბრძვიან თავიანთ უფლებების დასაცავად. კომპარტია მოითხოვს ყველა დაპატიმრებულების განთავისუფლებას“.**

**კომპარტია დაპყრობილ დაკავებულ ოლქებში.**

ბერლინი. 18 დეკემბერი. ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში, სადაც კომპარტია არ არის „აკრძალული“, ყველა პარტიული ორგანოები, გარდა „რურის ეხოს“ ლეგალურად გამოდიან.

მთელ რიგ ქალაქებში კომპარტიამ გამართა მასიური კრებები, რომლებმაც გამოიტანეს რეზოლიუცია პარტიულ მუშაობის გაძლიერების შესახებ. კომპარტიის წევრთა და პარტიულ ორგანოების ხელის მომწერთა რიცხვი თანდათან იზრდება.

## გაკოტრების წინ

**გერმანიის რკინის გზები**

ბერლინი. 18 დეკ. გერმანიის გზათა მინისტრი ეზერი ოფიციალურად უარჰყოფს სტინესის ორგანოს „დოიჩე ალგემაინე ციტუნგ“-ის ცნობას რკ. გზათა სახელმწიფო სამმართველოს გაკოტრების შესახებ. მაგრამ გაზეთი მაინც ირწმუნება ამ ცნობის სისწორეში და აღნიშნავს, რომ ეზერის განცხადება უბრალო ფორმალობაა.

**ისევ კრონპრინცი**

ბერლინი. 18 დეკ. ყოფილი კრონპრინცი ჩავიდა პოტსდამში, სადაც ცხოვრობს მისი შვილი. მასთან ერთად კრონპრინცი გაემგზავრა უკანვე ელსში.

ყველაფერი ეს ჩადენილი იქნა მიუხედავად ვალდებულებისა არ ჩამოსულიყო ბერლინში და მუდმივად ელსში ეცხოვრა.

**გერმანიის სასამართლოები.**

ბერლინი. 18 დეკემბ. გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ემინგერმა განაცხადა, რომ თუ არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები საჭირო იქნება სასამართლოების დახურვა და საპატიმროების კარების გაღება, რადგანაც სრულიად არ მოიპოვება სახსარი მათ შესანახად. „ფორვერტსი“ ხაზს უსვამს, რომ ემინგერი არის მომხრე ბავარიის სასამართლოების და საშუალებათა უქონლობის მიზეზით სცდილობს გერმანიის სასამართლოების რეორგანიზაციის მოხდენას.

## საქსონიაში

ბერლინი. 18 დეკემ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყველა საოლქო კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირმა, განიხილა რა საკითხი საქსონიის ახალ მთავრობის შედგენის შესახებ, დაადგინა გამართოს მოლაპარაკება კომპარტიასთან სოციალ-დემოკრატიულ უმცირესობის მთავრობისათვის მხარის დაჭერის შესახებ კომუნისტების უშუალო მონაწილეობის გარეშე. პრემიერათ ასახელებენ ლიპმანს, რომლის წინააღმდეგ ბურჟუაზიული პრესა ენერგიულ პროტესტს აცხადებს. კომპარტია ალბათ უარს განაცხადებს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე.

## გერმანია და საფრანგეთი

**პუანკარეს პასუხი გერმანიის წინადადებაზე.**

პარიზი. 18 დეკ. საფრანგეთის ელჩმა ბრიუსელში ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჟასპართან საუბრის შემდეგ აცნობა პუანკარეს, რომ ბელგიის მთავრობა სავსებით ეთანხმება საფრანგეთის მთავრობას გერმანიის ახალ წინადადებებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

ბელგიის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, პუანკარემ აღიარა გერმანიის მიერ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა, მიუწერა გერმანიის მთავრობას, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება მასთან, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა იტოვებს უფლებას ეთათბიროს მოკავშირეებს ყველა იმ საკითხების გამო, რომლებიც საერთოდ მოკავშირეების ინტერესებს შეეხებიან. საფრანგეთის მთავრობა მზად არის ხელი შეუწყოს „მოდუს ვივენდი“-ს შექმნას რურში და არ ამბობს უარს აგრეთვე აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე სარეპარაციო საკითხის შესახებ, მაგრამ აფრთხილებს გერმანიის მთავრობას, რომ ამ საკითხის სავსებით გადაჭრა საკონტრიბუციო კომისიის კომპეტენციაში შედის, რომლის უფლებების დარღვევას საფრანგეთის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.

საფრანგეთის მთავრობა მზად არის გერმანიის მრეწველებთან ერთად განიხილოს ეკონომიური ცხოვრების

# „მაკრატლის“ საკითხის გამო

რევოლიუციის პროცესში კომუნისტური პარტიის წინაშე იჭრებოდა მთელი რიგი მწვავე და საჭირბოროტო საკითხებისა, რომლებიც მოითხოვდნენ მისგან გარკვეულ პასუხს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკითხს „მაკრატლის“ შესახებ, განსაკუთრებული იმიტომ, რომ ეს არის ეკონომიური პრობლემა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, რომელზეც ჩვენ გადავედით „სერიოზულათ და დიდის ხნით“, და რომლის გადაწყვეტა არ შეიძლება ერთი ხელის დაკვრით, ერთი იერიშის მიტანით.

რა არის „მაკრატელი“, რომელმაც ასე დააინტერესა და აალაპარაკა, როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი პრესა? რატომ გახდა „მაკრატლის“ საკითხი ჩვენი ყურადღების ცენტრათ?

საქმე იმაშია, რომ „მაკრატელი“ არ არის მარტო ეკონომიური ხასიათის საკითხი. ის იმავე დროს უაღრესად პოლიტიკური საკითხიც არის. რამდენადაც ჩვენ გვინდა „მაკრატლის“ მიერ გამოწვეული მძიმე მდგომარეობა შევამსუბუქოთ ნაწილობრივ მაინც საზღვარგარეთ პურის გატანით და საამისო ნაბიჯები კიდევაც გადავდგით. ჩვენ გავხდით მოწამენი იმისა, თუ როგორი აგიტაცია გააჩაღეს საზღვარგარეთელ ემიგრანტებმა ჩვენი პურის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდენ დაეცათ რუსეთის იაფი პურის ღირსება მყიდველების თვალში და ამით ხელი შეეშალათ ექსპორტისათვის. რამ ააყაყანა საზღვარგარეთის კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია?

ჩვენ ვიცით რომ ამ ემიგრანტების სინიდისი დაცემულია გერმანულ მარკამდის, ვიცით რომ ისინი ყოველთვის აწარმოებდენ ჩვენ წინააღმდეგ ცხარე ბრძოლას პოლიტიკურ საკითხებში (მაგ. გენუა და სხვა) და უნდოდათ დაეცათ საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი დასავლეთ ევროპის თვალში, ასეთი მიზნის მიღწევას ცდილობენ ისინი ჩვენი პურის წინააღმდეგ წარმოებული აგიტაციითაც. ამიტომ ვამბობთ რომ „მაკრატლის“ საკითხი პოლიტ. საკითხიც არის.

პირველად სიტყვა „მაკრატელი“ ამხ. ტროცკიმ იხმარა მე-12 ყრილობაზე. ამით აღინიშნა განსხვავება სასოფლო პროდუქტების და ქალაქის ფაბრიკატების ფასებს შორის, განსხვავება, რომელიც თანდათან იზრდებოდა და საშიშარ სახეს ღებულობდა. თუ ერთის მხრივ გაიზარდა და იზრდებოდა საერთოდ ქალაქის ნაწარმოების ფასი, მეორეს მხრივ დაეცა და ეცემოდა სოფლის ნაწარმოების ფასი. პირველ წარმოებაში ჩაბმულია მუშათა კლასი, რომელიც დღეს გაბატონებული კლასია და მეორეში კი გლეხკაცობა.

მუშათა კლასი და გლეხკაცობა რევოლიუციის პროცესში ერთად გამოდიოდენ კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ. მუშათა და გლეხთა კავშირი—ეს იყო ის სალი კლდე, რომელსაც ეხეთქებოდენ და რომელზეც იმსხვრეოდენ კონტრ-რევოლიუციის ყველა იერიშები. პროლეტარიატმა გაიმარჯვა, რადგან მას მხარი დაუჭირა რუსეთის მრავალმილიონიან ღარიბ გლეხკაცობამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ გამარჯვებას ვერ მიაღწევდა.

ამხ. ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა ამ გარემოებას. მთელ რიგ წერილებში და სიტყვებში ის აუცილებლად სთვლიდა მუშათა და გლეხთა ამ კავშირის შენახვას მომავალშიც. ამიტომ იყო, რომ სამხედრო კომუნიზმის პერიოდი შეიცვალა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდით. მეათე ყრილობაზე ამის შესახებ ამხ. ლენინი ამბობდა შემდეგს: „კითხვა გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ არის ყველაზე მეტად და უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური საკითხი, ვინაიდან ამ კითხვის მთელი აზრი მდგომარეობს მუშათა კლასის გლეხკაცობასთან დამოკიდებულებაში. ამ კითხვის დაყენება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამ ორი კლასის დამოკიდებულებანი, რომელთა შორის ბრძოლა ან შეთანხმება გადასწყვეტს მთელი ჩვენი რევოლიუციის ბედს, ხელახლა განვიხილოდ უფრო ფრთხილად და სწორად“.

აქ ამხანაგი ლენინი აღნიშნავს გლეხობის როლს რევოლიუციაში. მუშათა კლასისათვის სულ ერთი არ არის გაჰყვება გლეხობა მას თუ ბურჟუაზიას. ამიტომ არის, რომ საკითხი მუშების და გლეხების დაკავშირებისა ხდებიან აქტუალური მნიშვნელობის საკითხებათ. ამას მოწმობენ მთელი რიგი ღონისძიებებისა ამ დარგში (ახალი ეკონ. პოლიტიკა, მთლიანი სასოფ.-სამეურნეო გადასახადი და სხვ.), რომლებსაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა ფართე გლეხთა მასსები.

მაგრამ მიმდინარე წელში კვლავ დაისვა „მაკრატლის“ პრობლემა. ამ წერილში ჩვენ მარტო ამ პრობლემის პოლიტიკურ მხარეს ვეხებით. რას ნიშნავს სოფლის და ქალაქის ნაწარმოების ფასების ერთმანეთიდან დაშორება? ეს ნიშნავს იმას, რომ სოფელი ეკონომიურათ შორდება ქალაქს, რომ მას ნაწილობრივ ეკარგება სყიდვითი უნარი. პირიქით, ქალაქი ვერ პოულობს ბაზარს თავისი ნაწარმოებისათვის. ეს ეკონომიური დაშორება ქალაქისა სოფლისაგან, განსხვავება მათი წარმოების პროდუქტების ფასებს შორის არის საფუძველი, რომელიც იწვევს გლეხკაცობის უკმაყოფილებას და შეუძლია დააშოროს ერთმანეთს ეს ორი ძალა. აი აქ არის საკითხის კვანძი, რადგან საბჭ. ხელისუფლების სოციალური ბაზა არის მუშათა კლასი და გლეხკაცობა. ჩვენც სწორეთ „მაკრატლის“ საკითხს ვუდგებით ამ სოციალური ბაზის, მუშათა და გლეხთა კავშირის შენახვის თვალსაზრისით. ამიტომ არის, რომ მთელი ყურადღება დღეს ექცევა ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტას. როგორ ვუდგებით ჩვენ „მაკრატლის“ პრობლემას? როგორ გვინდა გადავსწყვიტოთ ჩვენ ის? რა ღონისძიებებს ატარებს საბჭოთა ხელისუფლება, რომ გლეხკაცობას დაეხმაროს და შეუმსუბუქოს მას მძიმე მდგომარეობა? სანამ ამაზე პასუხს მივცემდეთ, დავსვათ ძირითადი საკითხი: რამ გამოიწვია „მაკრატელი“? რა არის მისი მთავარი მიზეზები?

ქ. ორაგველიძე

ალდგენის და აგრეთვე გადასახლებულ მოხელეების უკან დაბრუნების საკითხი, მაგრამ იტოვებს ზოგიერთი საქმეების ცალკე გამოყოფის უფლებას.

ნოტა თავდება მითითებით იმაზე, რომ გერმანიის მთავრობა ლოიალურად შეასრულებს ვერსალის ხელშეკრულებას და ამით უზრუნველყოფს მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიის ნორმალურ მუშაობას.

**გერმანიის ოფიციალური ცნობა.**

**ბერლინი.** 18 დეკ. პუანკარეს პასუხი მიღებული იყო ბერლინში 17 დეკემბერს. ოფიციალურ ცნობაში ამ პასუხის გამო ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობა ეთანხმება საფრანგეთის მთავრობას, რომ მხარეებისათვის საინტერესო საკითხების გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ყველა მოკავშირეების მონაწილეობით. მაგრამ საჭიროა დაიწყოს მოლაპარაკება ოკუპაციის წესით დაკავებულ ოლქებში მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ. ცნობა მოაგონებს ყველას, რომ საოკუპაციო ხელისუფლება არიან თავიანთი მთავრობის მხოლოდ და მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოები. გერმანიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ვინაიდან პუანკარე თანახმაა დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება დაპყრობილ ოლქებში **„modus vivendi“**-ს შესახებ, შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ დროებით შეთანხმებაზე.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობის მიერ პარიზში გადადგმულ ნაბიჯების მიზანია სარეპარაციო და აგრეთვე რეინის და რურის ოლქების საკითხების ყოვლისმხრივი განხილვა.

გერმანიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ყოველმხრივ ხელს შეუწყობს გერმანიის გადახდის უნარიანობის გამომწვევ ექსპერტთა კომისიის მოქმედებას. გერმანიის მთავრობა იცავს იმ თვალსაზრისს, რომ სარეპარაციო და რურ-რეინის საკითხების გადაჭრა შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ ამ საკითხების ხელახალი გადასინჯვით ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების მონაწილეობით. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში მდგომარეობის [illegible] გარეშე ქვეკომისიის და სარეპარაციო კომისიების მუშაობას არავითარი შეფერხება არ მოყვება. პირველ რიგში უნდა გადაიჭრას საკითხები გადასახლებულ მოხელეების და აგრეთვე ოკუპაციით დაკავებულ ოლქებსა და დანარჩენ გერმანიის შორის თავისუფალი მიმოსვლის შესახებ.

**პრესის აზრი**

**საფრანგეთის პრესა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ.**

**პარიზი.** 18 დეკემბერი. საფრანგეთის პრესა იხილავს შტრეზემანის სიტყვას და პუანკარეს პასუხს გერმანიის წინადადებებზე. ბურჟუაზიული პრესა ხაზს უსვამს იმას, რომ შტრეზემანი ძალიან შორს მიდის, როდესაც ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მთავრობა გერმანიის მიერ უარის თქმას სამხედრო-საკონტროლო კომისიის მუშაობის განახლებაზე, სთვლის პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელებათ; პრესა აღნიშნავს, რომ ჰავასის სააგენტოს ცნობა ამტკიცებს იმას, რომ პუანკარე სთვლის ამას მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების დარღვევათ. გაზეთები წინააღმდეგობას შტრეზემანის განცხადებასა და ჰავასის სააგენტოს ცნობებს შორის ხსნიან ყალბი ინფორმაციით, რომელიც მისცა სააგენტოს გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა პარიზში—ფონ-ჰეშმა.

სოციალ-დემოკრატიული ბიულეტენი აღნიშნავს, რომ ჰეში ახლო მომავალში გაწვეული იქნება პარიზიდან.

საერთო აზრის თანახმად, შტრეზემანის განცხადება სამხედრო-საკონტროლო კომისიების მუშაობის შესახებ მეტად გაართულებს მოლაპარაკების საქმეს.

**გერმანიის პრესის აზრი.**

**ბერლინი.** 18 დეკ. გერმანიის მემარჯვენე წრეები საფრანგეთის პასუხს არ სთვლიან დამაკმაყოფილებლათ. „კრეიც-ცეიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ შტრეზემანის ცდა შეეთანხმებოდა საფრანგეთს კრახით დამთავრდა. „დოიჩე ტაგესცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ პუანკარემ თავის პასუხში გამოამჟღავნა საფრანგეთის განზრახვა სამუდამოთ მიისაკუთროს დაპყრობილი ოლქები.

მემარჯვენეებმა ენერგიული კამპანია დაიწყეს შტრეზემანის წინააღმდეგ. კარის გაზეთი „მიუნხენერ ნეიესტე ნახრიხტენ“-ი აღნიშნავს, რომ შტრეზემანი ყალბ გზაზე სდგას. შტრეზემანის „ცეიტ“-ი ხაზს უსვამს საფრანგეთის ორიენტაციას ბავარიის სეპარატიზმზე და აღნიშნავს, რომ კობლენცი, სადაც იმყოფება მოკავშირეთა რეინის კომისია, გახდა პრუსიის მოწინააღმდეგე სეპარატისტულ ელემენტების ბანაკათ. „გერმანიის მთავრობა, სწერს გაზეთი, ცდილობდა საფრანგეთთან უშუალო მოლაპარაკების წარმოებით, დაეკარგა სეპარატიზმის ამ ცენტრისათვის მისი მნიშვნელობა“.

**შტრეზემანის განცხადება.**

**ბერლინი.** 18 დეკემბერი. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ შტრეზემანმა განაცხადა: „ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენი არქივები, დეე სხვა მთავრობებმაც მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს; მაშინ გამოირკვევა ომის გამოწვევაში დამნაშავეების საკითხი. თავისი უკანასკნელი გამოსვლით გერმანია ცდილობდა მოკავშირეებთან შეთანხმების მიღწევას, მაგრამ პუანკარემ უპასუხა, რომ ის ვერსალის ხელშეკრულებას შეუსრულებლად სთვლის სამხედრო-საკონტროლო კომისიების მუშაობის განახლებამდე. ამ კომისიების მუშაობის განახლება შეუძლებელია, ვინაიდან გერმანიის მთავრობას, სახელმწიფოში შექმნილი მღელვარების გამო, არ შეუძლია უზრუნველჰყოს ოფიცრების ამ კომისიების წევრების მშვიდობიანობა. გერმანიის მთავრობა თანახმაა დაარსდეს ქვე-კომისია გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად და აგრეთვე კაპიტალის უცხოეთში გასვლასთან საბრძოლველი ზომების შესამუშავებლად.

**პუანკარეს პასუხის გამო.**

**ბერლინი.** 18 დეკ. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში პუანკარეს პასუხს ამრიგად უცქერიან: პუანკარე მოლაპარაკების დაწყების წინასწარ პირობათ აყენებს ვერსალის ხელშეკრულების შესრულებას და არ სურს დაუშვას სარეპარაციო და აგრეთ რეინის კომისიების და აგრეთვე საოკუპაციო ხელისუფლების უფლებათა შემცირება. მოლაპარაკება ძირითად საკითხების მოსაგვარებლად ძლიერ ძნელი ხდება, რადგანაც პუანკარე მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ტრანზიტის და გადასახლებულ მოხელეების დაბრუნების შესახებ, მხოლოდ დიუსელდორფის შეთანხმების ვადის გაგრძელების შემდეგ. საფრანგეთის მთავრობას სურს გამოვიდეს შუამავლის როლში, ერთის მხრივ გერმანიის მთავრობასა და მეორე მხრით, რეინის კომისიასა და საოკუპაციო ხელისუფლებას შორის.

## პუანკარეს პასუხის გამო

### გერმანია აფრთხილებს.

**ბერლინი.** 19 დეკემბ. გერმანიის მთავრობამ მიიღო პუანკარეს პასუხი, რომელშიაც განცხადებულია თანხმობა გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყებაზე ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში წამოჭრილ საკითხების წინასწარ გადაჭრის შესახებ, და ამზადებს ვრცელ წინადადებებს. გერმანიის მიერ საფრანგეთის მთავრობისათვის გადაცემულ ნოტიდან სჩანს, რომ გერმანიის მთავრობა აფრთხილებს პარიზს ჯერ ერთი იმ შეხედულების შესახებ, რომ ოკუპაციით დაკავებულ რაიონებში ეკონომიური ცხოვრება ჩქარა იქნება აღდგენილი გერმანელ მრეწველებთან ხელშეკრულების დადებით და მეორე—რომ აღნიშნულ მიზნების მისაღწევად საჭირო ზომებს მხოლოდ ერთი საფრანგეთი მიიღებს.

## დაპყრობილ ოლქებში

### რკინისგზელებს შორის.

**ბერლინი,** 18 დეკემბერი. დაკავებულ ოლქების რკინისგზელთა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს 70 რკინისგზელის დათხოვნის განზრახვის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ბურჟუაზიულმა მთავრობამ აიძულა მუშები პასიური წინააღმდეგობა გაეწიათ ფრანგებისათვის და ამის სამაგიეროთ მათ უხდიდეს სამშილით სიკვდილს. მთავრობის ლაჩრული და მუხანათური მოქმედება უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს, ვინემ რეინის სეპარატიზმი.

**ნახშირი.**

**ბერლინი.** 18 დეკემბერი. რურის ოკუპაციის შემდეგ ჰამბურგში გადასული ნახშირის სინდიკატის სამმართველო დაბრუნდა ესსენში. შეცვლილია შეხედულება სინდიკატში შემავალ წარმოებებთან, ამასთანავე ცალკე წარმოებებს მიენიჭათ მოქმედების თავისუფლება კონფერენციის დარგში. ეს ცვლილება ითვლება სტინესის გამარჯვებად, რადგანაც ის ცდილობს თავისუფლად ებრძოლოს პატარა გაერთიანებებს. სინდიკატის სამმართველოს მიერ ესსენში მიღებულია გადაწყვეტილება დასწიოს ნახშირის ფასი სამუშაო დღის გადიდებით და ხელფასის დაკლებით. ტონა ნახშირის ფასი 28 ოქრ. მარკიდან დაკლებული უნდა იქნას 23 ნახ. მარკამდე. ნახშირის ფასების დაწევა ამცირებს წინააღმდეგობას მძიმე მრეწველობასა და დანარჩენ ინდუსტრიას შორის. ნახშირის ფასების დაწევას ინგლისის ნახშირის ფასის დონემდე აქვს აგრეთვე პოლიტიკური მნიშვნელობა.

## საბჭოთა კავშირი და შეერთებული ამერიკა

### ამხ. ჩიჩერინის ნოტის გამო.

**ნიუ-იორკი.** 18 დეკემბერი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ კულიჯი შეუდგა საბჭოთა კავშირის ნოტის გარჩევას. ნოტა მთლიანად არის გამოქვეყნებული ნიუ-იორკის ყველა გაზეთებში. სენატორმა ბორამ კმაყოფილება გამოსთქვა ნოტის გამო. ამერიკის მთავრობას ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი—გასცემს პასუხს ჩიჩერინის ნოტაზე თუ არა. პოლიტიკურ წრეებში ნოტას სთვლიან პირველ ნაბიჯათ რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებაში. სახელმწიფო დეპარტამენტის უმაღლესი მოხელეები დიდ საფრთხილეს იჩენენ ნოტის მიმართ.

**რუსეთის ფასიან ქაღალდების ბედი.**

**ნიუ-იორკი.** 16 დეკ. საბანკო კომიტეტმა, რომელშიაც შედიან მორგანის ბანკის და სხვა ფინანსიურ ჯგუფების წარმომადგენლები და რომელიც წარმოადგენს რუსეთის 1916 წლის ობლიგაციების ამერიკელ მფლობელთა რწმუნებულს, მიმართა ამ ფასიან ქაღალდების მფლობელებს წინადადებით გაგრძელებულ იქნეს მათი ინტერესების დასაცავად დადებულ შეთანხმების ვადა იმ დრომდე, როდესაც ამერიკის მთავრობა შესძლებს მათთვის დახმარების გაწევას. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობა საბჭოთა მთავრობის ოფიციალურათ ცნობამდე უთუოდ მოითხოვს სახელმწიფო დეპარტამენტში აღნუსხულ ამერიკულ პრეტენზიების უზრუნველყოფას და ამიტომ წინადადებას აძლევს რუსეთის ფასიან ქაღალდების მფლობელთ გაატარონ თავისი პრეტენზიები სახელმწიფო დეპარტამენტის რეგისტრაციაში.

## ინგლისის არჩევნების შემდეგ

### კაბინეტის შედგენის საკითხი.

**ლონდონი.** 19 დეკ. ზომიერ კონსერვატორების ბელადი ბირკენჰედი მოწოდებაში, რომელიც მიმართულია კონსერვატორებისა და ლიბერალების მიმართ, წინადადებას იძლევა არ დაუშვან მუშათა მთავრობის შედგენა. ის აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დანიშნული იქნება ახალი არჩევნები, მაშინ მუშათა პარტია კიდევ უფრო მეტ ხმებს მიიღებს სამრეწველო ოლქებში, ვიდრე ეხლა. „იმ შემთხვევაში, თუ დანიშნული იქნება ახალი არჩევნები, მაშინ ინგლისში შერყეული იქნება თვით პარლამენტარიზმის საფუძვლები“. ბირკენჰედი ურჩევს კონსერვატორებს ძალაუფლება გადასცენ ლიბერალების ბელადს ასკვიტს; ბირკენჰედის აზრით, ზომიერ-კონსერვატორული მთავრობა ლიბერალების დახმარებით ვერ შესძლებს შეაჩეროს მუშათა პარტიის გაბატონება.

**ლიბერალურ პარტიის კრება.**

**ლონდონი.** 18 დეკ. პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ 18 დეკემბრისათვის დანიშნულ ლიბერალურ პარტიის კრებას, რომელსაც მიზნად აქვს ლიბერალური პარტიის საბოლოო აღდგენა. კრება განიხილავს საკითხს ლიბერალების პოზიციის შესახებ ეხლანდელ პარლამენტარულ კრიზისის დროს. კრებაზე ელიან ლლოიდ ჯორჯის, ასკვიტის და ლიბერალების სხვა გამოჩენილ ბელადების გამოსვლას.

## მდგომარეობა საბერძნეთში

### მეფის წასვლა.

**[illegible].** 19 დეკემბერი ათენიდან იტყობინებიან, რომ არჩევნებში ვენიზელოსის გამარჯვების და დინასტიის საწინააღმდეგო გამოსვლების გამო მეფის ოჯახი გადაიხვეწა რუმინეთში, სადაც დარჩება მდგომარეობის გამორკვევამდე. გამგზავრების წინ მეფე გიორგიმ უარი სთქვა გადადგომის აქტზე ხელის მოწერაზე და რეგენტად დანიშნა ადმირალი კუნდურიოტისი. გადმოგვცემენ, რომ კუნდურიოტისმა დეპეშით წინადადება მისცა ვენიზელოსს ჩაიბაროს სახელმწიფოს მმართველობა.

**მონარქიის დამხობა.**

**პარიზი.** 19 დეკემბერი, რესპუბლიკანური კავშირის წევრებმა ათინაში მოაწყვეს მანიფესტაცია დიოსნუსში—„გაუმარჯოს რესპუბლიკას“ და გადასცეს პლასტირასს ქვეითჯარის და ფლოტის ოფიცრების სახელით მოთხოვნილება გლიუქსბურგის გვარის დინასტიის გადაყენების შესახებ. პლასტირასმა აღუთქვა მათ სათანადო დირექტივების გაცემა.

მინისტრთა საბჭომ, რომელიც შეიკრიბა იმავე საღამოს, დაადგინა აცნობოს მეფეს მისი საბერძნეთიდან გამგზავრების აუცილებლობა, რათა შემსუბუქებულ იქნეს გამწვავებულ მდგომარეობის მოგვარება და თავიდან იქნეს აცილებული მეფის ზეგავლენა ნაციონალური კრების გადაწყვეტილებაზე მმართველობის საკითხის შესახებ.

**არჩევნები დამთავრდა რესპუბლიკანელების გამარჯვებით.**

**რომი.** 19 დეკემ. ათინიდან მიღებული ცნობით, ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ მოწმობენ ვენიზელოსის მიმდევრების—კონსერვატორების და რესპუბლიკანელების თითქმის სრულ გამარჯვებას. ვენიზელოსი გაიყვანეს ერთხმად.

**ვენიზელოსი არ ჩქარობს.**

**ლონდონი.** 19 დეკემ. „დეილი მეილ“-ს ცნობით, ოთხშაბათს საბერძნეთის მეფის ამალას განზრახული აქვს ათინიდან რუმინეთში გამგზავრება. ამრიგად საბერძნეთის სამეფო ტახტი 1917 წლიდან მეოთხეჯერ დაცალიერდა. ბერძნები მოელიან ვენიზელოსის დაბრუნებას, ხოლო უკანასკნელი აცხადებს, რომ ჯერ მას კიდევ არა აქვს განზრახული დაბრუნება. პარიზში კი ფიქრობენ, რომ ის გაემგზავრება ათინაში მაშინვე, როგორც კი იქიდან გამოვა მეფე.

**ვენიზელოსის მომხრეთა გამარჯვება.**

**ვენა.** 18 დეკ. საბერძნეთში მოხდა საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც დამთავრდა ვენიზელოსისტების გამარჯვებით. მონარქისტები არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობდენ.

**მონარქიული კრიზისის წინ.**

**რომი.** 19 დეკემ. უკანასკნელ ცნობების თანახმად, არჩევნები წესიერად მიმდინარეობს; არჩევნებში იმარჯვებენ ვენიზელისტები და რესპუბლიკანელები. თავშეკავებულთა პროცენტი უდრის 14-ს. მეფის გეგმის თანახმად, ეროვნულ კრების პირველ სხდომაზე დასმული უნდა ყოფილიყო საკითხი პლებისციტის შესახებ, იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ იქნეს არსებული რეჟიმი.

**ლონდონი.** 18 დეკემ. რეიტერის სააგენტოს ცნობების თანახმად, დინასტიური კრიზისი აუცილებელია საბერძნეთში.

## მთავრობის კრიზისი პოლონეთში

### გრაბსკის კაბინეტი.

**[illegible].** 19 დეკემბერი. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ ახალი მთავრობა შეადგინა გრაბსკიმ, რომელმაც ჩაიბარა აგრეთვე ფინანსთა მინისტრის პორტფელი. გარეშე საქმეთა მინისტრი არის სკირმუნტი.

**პარლამენტს გარეშე მთავრობის პროექტი.**

**ვარშავა,** 18 დეკემბერი. ტუგუტის პროექტი პარლამენტის გარეშე მთავრობის შექმნისა სასტიკ ოპოზიციას იწვევს მემარჯვენეების მხრით, რომლებსაც არ სურთ პილსუდსკის და სიკორსკის დაბრუნება მთავრობაში.

პარლამენტის გარეშე კაბინეტის წინააღმდეგ გაილაშქრეს, აგრეთვე, ქრისტიანულ დემოკრატებმა.

ტუგუტის მეორე პროექტი, რომელიც მდგომარეობდა საპარლამენტო კომისიის შექმნაში ქრისტიანულ დემოკრატების და პ. სოც. პარტიის მონაწილეობით, აგრეთვე ჩაიშალა, რადგან პ. სოც. პარტია ვერ შევა მთავრობაში პარტიის უკანასკნელ ყრილობის დადგენილების გამო.

ქრისტიანულ დემოკრატები მოითხოვენ წმინდა პოლონურ ეროვნულ მთავრობის შექმნას, რაც საშუალებას ართმევს ტუგუტს შეთანხმდეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან.

სახალხო დემოკრატები მოითხოვენ კოალიციონურ მთავრობას ვლადისლავ გრაბსკის მეთაურობით.

უკანასკნელ ცნობებით, ქრისტიანული დემოკრატები დათანხმდენ ტუგუტის პარლამენტის გარეშე მთავრობაში შესვლაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობას მხარს დაუჭერენ ქრისტიანულ დემოკრატების ყველა ჯგუფები.

ტუგუტის მოლაპარაკება სეიმის ფრაქციებთან გრძელდება. თუ ტუგუტი დამარცხდა, მის ადგილს დაიჭერს გრაბსკის კანდიდატურა.

## სხვადასხვა

### საფრანგეთი

**პოლიციელების შემდეგ—მოხელეები.**

**ბერლინი.** 18 დეკემ. პარიზში პოლიციამ სროლა აუტეხა მოხელეების დემონსტრაციას; მოხელეები მოითხოვდენ ჯამაგირის მომატებას. დაპატიმრებულია დაახლოებით 20 კაცი.

**პენსიები ომის ინვალიდებს.**

**პარიზი.** 18 დეკემ. საფრანგეთის სენატმა მოითხოვა ომის ინვალიდებისათვის პენსიების გადიდება, მიუხედავად ფინანსთა მინისტრის პროტესტისა, რომელმაც განაცხადა, რომ პენსიები, რომლებიც 1922 წელს მთავრობას უჯდებოდა 800 მილიონი ფრანკი, ეხლა დაუჯდება 1,600 მილიონი ფრანკი.

### ბულგარეთი

**ბულგარეთის პარლამენტში.**

**სოფია.** 17 დეკემ. ბულგარეთის პარლამენტის სხდომაზე ბურჟუაზიულმა ბლოკმა უარყო სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება მათთვის მეორე პორტფელის მიცემის შესახებ; ბურჟუაზიულმა ბლოკმა აირჩია პარლამენტის წმინდა-ბურჟუაზიული პრეზიდიუმი. სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ კოალიციას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან ის ხელს უწყობს მხოლოდ შინაპარტიულ ოპოზიციის ზრდას, მაგრამ მათ მთავრობას აღუთქვეს დახმარება იმ შემთხვევაში, თუ კოალიცია დაიშლება.

პრეზიდიუმის არჩევის დროს კომუნისტებმა შეიტანეს ბარათები, რომლებზედაც ეწერა: „მოვითხოვთ ამნისტიას“. [illegible] პარტიის დეპუტატებს შორის უთანხმოებას აქვს ადგილი; უთანხმოება გამოიწვია კომუნისტებთან [illegible] საკითხმა.

## პარტიის ახალი ამოცანების შესახებ

### პეტროგრადის ორგანიზაციის წერილი

**მოსკოვი.** 19 დეკემბერი. პეტროგრადის ორგანიზაციის წერილი რუსეთის კომპარტიის წევრებისადმი, მიღებული აქტიურ მუშაკების (3,000 კაცამდე) იაჩეიკების ბიუროების საერთო საქალაქო კრებაზე ხმების აბსოლუტურ უმრავლესობით წინააღმდეგ 5 ისა (7 თავი შეიკავა): „სწორედ თავის დროზე ჯერ პოლიტბიუროში, შემდეგ ცეკას სექტემბრის პლენუმზე, ამხ. ზინოვიევის წერილში 7 ნოემბრის თარიღით, და ბოლოს, პოლიტბიუროს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლიუციაში, დასმული იყო საკითხები ჩვენი შინაპარტიულ მუშაობის გაცხოველების, მუშათა დემოკრატიის გაძლიერების, მუშათა წრიდან პარტიის ახალ წევრების მიღების, ჩვენი პარტიის წევრთა კულტურულ დონის აწევის და ქვევიდან პარტიულ აპარატის განახლების, პარტიულ იაჩეიკების ახალ ამოცანების და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩვენი პეტროგრადის ორგანიზაცია პირველ რიგში შეუდგა ამ საკითხების განხილვას. ამას წინად 19-ე საგუბერნიო პარტიულმა კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკითხებს. დღის წესრიგის სათანადო მუხლები დეტალურად იქნა განხილული. განხილვაში მონაწილეობას იღებდენ არა მარტო კონფერენციის წევრები (დაახლოვებით 600 დელეგატი), არამედ სარაიონო კონფერენციის ყველა წევრები და თავიანთი აზრები გამოსთქვეს ათეულმა ორატორებმა ადგილებიდან. ბოლოს ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც მთავარ საკითხებში მხარს უჭერს ცეკას ხაზს. პეტროგრადის ორგანიზაცია უკვე შეუდგა მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად გატარებას. ერთი კვირის შემდეგ დანიშნულია იაჩეიკების ბიუროების მთელი ორგანიზაციის კოლექტივების ორგანიზატორების ხელახალი არჩევნები. ყველა კოლექტივებში სწარმოებს პარტიული მუშაობის შესამჩნევი გაცხოველება ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და აგრეთვე 19-ე საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლიუციების თანახმად. მაგრამ პეტროგრადის ორგანიზაცია მწუხარებით აღნიშნავს წამოყენებულ საკითხების გარშემო გამართულ დისკუსიების ხასიათს ამხანაგების პატარა ჯგუფის წყალობით, რომელთაც დიდი ხანია იცნობს პარტია, როგორც დეზორგანიზატორებს. დისკუსია იღებს ავადმყოფურ ხასიათს. ბოლშევიზმის მთავარი ხაზის წინააღმდეგ ბრძოლის დამწყებად, როგორც წინად ამას არა ერთხელ ჰქონია ადგილი, გამოდის ე. წ. „დემოკრატიულ ცენტრალიზმის“ ჯგუფი, რომლის ხაზი დაგმობილი იყო რამდენიმე ჩვენი პარტიული ყრილობების მიერ და რომელსაც ამხ. ლენინი და მთელი ცეკა ახასიათებდენ, როგორც სრულიად მიუღებელ ხაზს. როგორც ჩვენი პარტიის X ყრილობის წინ ეს ჯგუფი და ზოგიერთი სხვა ჯგუფები შეეცადენ გამოყოფილიყვნენ განსაკუთრებულ ფრაქციად და დაიწყეს პარტიაში რაღაც ახალი პარტიის შექმნა, ისე ეხლაც მუშათა დემოკრატიის ამოცანების გამო, ხსენებული ჯგუფი ცდილობს გამოვიდეს არა მარტო როგორც ფრაქცია, არამედ მიაღწიოს პარტიის მიერ ფრაქციის ლეგალიზაციის ცნობას. ფრაქცია და ფრაქციული „ჯგუფი“ ერთი და იგივეა. ეს არ ესმით მხოლოდ იმათ, ვისაც არ სურს ამის გაგება. ცეკამ, ჩვენის აზრით, კიდევ მეტი ენერგიით და კატეგორიულად უნდა განმარტოს, თუ როგორ უცქერის ჩვენი პარტია ფრაქციებს და ჯგუფებს. ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მთელი ჩვენი პარტია დიდის ერთსულოვნობით დაგმობს პარტიის ყოველგვარ დაყოფას ფრაქციებათ და ჯგუფებად.

ამას მოითხოვს პარტიის მთლიანობა, ამას მოითხოვს შეურყევლობა პროლეტარულ დიქტატურის, რომელიც ვერ ურიგდება პარტიის გაორებას და აქედან გამომდინარე თვით მთავრობის გაორებას. არა ახალია ის, რომ „დემოკრატიული ცენტრი-“ს ჯგუფი ერთხელ კიდევ სარგებლობს შემთხვევით პარტიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად არ არის მაინც და მაინც საყურადღებო ის, რომ ცენტრალური კომიტეტის სამი ყოფილი წევრი ნიკიტინი, პრეობრაჟენსკი, სმირნოვი და სერებრიაკოვი, რომელთა მიერ ჩადენილი შეცდომები არა ერთხელ ყოფილა პარტიულ ყრილობისაგან გაკიცხული, უერთდებიან ამ ჟამად „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფს. ახალი და ფრიად სამწუხაროა ის გარემოება, რომ „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფი ერთგვარი უფლებით ცდილობს დაეყრდნოს ამხ. ტროცკის ავტორიტეტს და, როგორც სჩანს, მუშაობს კიდეც მასთან თანამშრომლობით. მთელმა პარტიამ იცის, რომ პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლიუცია მუშათა დემოკრატიის საკითხის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული და ამ რეზოლიუციას მოაწერა აგრეთვე პოლიტბიუროს წევრი ამხ. ტროცკი; მიუხედავად ამისა, ამ რეზოლიუციის გამოქვეყნების მეორე დღეს ცენტრალური კომიტეტის გაუფრთხილებლად და პოლიტბიუროსთან მოლაპარაკების ყოველგვარი ცდის გარეშე, ამხ. ტროცკიმ დაბეჭდა გაზეთში „ახალი კურსის“ სათაურით წერილი, რომელსაც უფრო იყენებენ „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ მომხრე ორატორები. ისინი საჯაროთ უცხადებენ ამხ. ტროცკის აზრს სოლიდარობას და ამხ. ტროცკის წერილზე დაყრდნობით ცდილობენ გააღრმავონ პარტიის ცეკასთან ბრძოლა, გამოიწვიონ ჩვენს რიგებში არეულობა. თუ ამხ. ტროცკი ეთანხმება ცეკას, (ხოლო ამის საბუთს იძლევა ის გარემოება, რომ მან მხარი დაუჭირა ცეკას რეზოლიუციას), როგორ უნდა გავიგოთ ამ სოლიდარობის დარღვევა რეზოლიუციის მიღების მეორე დღესვე. თუ ყურადღებით გადავიკითხავთ ამხ. ტროცკის სტატიას „ახალის კურსის“ სათაურით დაწერილს, ჩვენ არ შეიძლება არ გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ამხ. ტროცკი სჩადის მთელ რიგს პოლიტიკურ შეცდომებს. პარტიას შეუძლია მხოლოდ გაკვირვებით აიჩეჩოს მხრები, როცა იგი ამხ. ტროცკის წერილში ცეკას ხედავს თავდასხმას ამხ. ლენინის უშუალო მოწაფეებზე, რომელთაც ტროცკი ადარებს ბერნშტეინს, კაუტსკის, ადლერს, გედს და სხვა სოციალისტ ბელადებს. თუ ტროცკი ასე აფასებს ლენინის ხსენებულ მოწაფეებს, მის ვალი იყო მათთან ერთად რეზოლიუციის მიღება კი არა, არამედ აშკარად გალაშქრება ბრალდებებით მთელ პარტიის წინაშე.

ასეთივე მძიმე გრძნობით ვკითხულობდით ჩვენ დაუსაბუთებელ ბრალდებებს პარტიული აპარატის წინააღმდეგ, მოწოდებას აპარატის მუშაკების გადაყენებისაკენ, პარტიული აპარატისათვის ბრალის დადებას ფრაქციების შექმნისათვის და სხვა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ჩვენი აპარატის სუსტი მხარეები, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ის საჭიროებს განუწყვეტლივ განახლებას ქვევიდან, ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა გასწორებას და სხვა. მაგრამ ჩვენ ყველამ, როგორც ბოლშევიკებმა, აგრეთვე ვიცით თუ რა დამსახურება მიუძღვის ჩვენს ცენტრალისტურ პარტიულ აპარატს. ჩვენ ყველამ, მივდიოდით რა ამხ. ლენინის მიერ ნაჩვენებ გზით, ვიცოდით, რომ ბრძოლას სახელმწიფო აპარატის მართლაც საშინელ გადამახინჯებასთან, ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ პარტიის და ჩვენი პარტიული აპარატის საშუალებით. აღელვებით ვკითხულობთ ჩვენ ამხ. ტროცკის სტრიქონებს, რომელიც ცდილობს დაუპირისპიროს ახალგაზრდობა ძველი რევოლიუციონერების — ბოლშევიკების, არალეგალური მუშაკების ძირითად თაობას, ჩვენი პარტიის მთავარ კადრს. ჩვენ ყველას, რასაკვირველია, ერთნაირად გვიყვარს ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, რომ მასშია ჩვენი უდიდესი ძალა, რომ ის არის ჩვენი მომავალი და რომ მას უნდა დაეთმოს რაც შეიძლება მეტი ყურადღება და დახმარება პარტიის მხრივ. მაგრამ სწორეთ ამიტომ ამ საკითხს განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ფრაქციულობის და ჯგუფების წინააღმდეგ ამხ. ტროცკიმ ვერ ნახა ვერც ერთი ნათელი და გადაჭრილი სიტყვა. საქმით კი, დღევანდელ პირობებში, ამხ. ტროცკის გამოსვლა არის იმათი დახმარება, რომლებიც მოითხოვენ ფრაქციების და ჯგუფების ლეგალიზაციას. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენი პარტიის დიდი უმრავლესობა, ისევე შეაფასებს ამხ. ტროცკის წერილს, როგორც ჩვენი პეტერბურგელი ამხანაგები.

რამდენად უფრო ადრე შეიგნებს და გამოასწორებს თავის შეცდომას ამხ. ტროცკი, იმდენად ეს უკეთესი იქნებოდა ჩვენი პარტიისათვის. ჩვენ მივმართავთ პარტიის ყველა ორგანიზაციებს მოწოდებით, რათა ეხლანდელმა დისკუსიამ არ მიიღოს ისეთი ფორმები, როგორც ეს მოხდა მე-10 ყრილობის წინ, როდესაც ამხ. ლენინი იძულებული იყო გამოსულიყო წერილებით იმის შესახებ, რომ „პარტია დაავადმყოფდა“, „პარტიას აციებს“ და სხვ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი საერთაშორისო პირობები და შინაური მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ გამოვიჩინოთ უფრო მეტი სიფრთხილე, ვინემ ოდესმე. მთავარი ის არის, რომ ჩვენი პარტიის ყველასაგან აღიარებულ მასწავლებელს და ბელადს ამხანაგ ლენინს ჯერ კიდევ არ შეუძლია უშუალო მონაწილეობის მიღება ცეკას მუშაობაში. ეს კი გვავალებს ჩვენ კიდევ უფრო ძლიერად შეკავშირებას, კიდევ უფრო მეტ მხარის დაჭერას ცეკასათვის. არ ეთანხმება რა ამხ. ტროცკის შეცდომებს, პეტროგრადის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ცეკასთან ერთად ის, ცხადია, აუცილებლად სთვლის მეგობრულ მუშაობას ამხ. ტროცკისთან ერთად პარტიის ყველა ხელმძღვანელ დაწესებულებებში. უთანხმოება ცეკაში იყო და, ალბად, იქნება კიდევ არა ერთჯერ. მაგრამ არც ერთ ამხანაგებს, ცხადია, არა აქვს წარმოდგენილი პარტიის ხელმძღვანელ დაწესებულებების მუშაობა ამხ. ტროცკის აქტიური მონაწილეობის გარეშე. თუ წარმოებულ დისკუსიის შესახებ იხსნება ყოველგვარი ლეგენდები, ეს ხდება „ოპოზიციის“ მიერ მხოლოდ ფრაქციული მიზნებით. პარტიის მთლიანობა, მისი გენერალური შტაბის სიმტკიცე უზრუნველყოფილი იქნება, რათაც არ უნდა დაჯდეს. ბოლშევიკური პარტია არ შეიძლება აქვს ფრაქციების, ჯგუფების, „მიმართულებების“ და სხვ. კონგლომერატათ. ის არ შეიძლება გადაიქცეს „აზრთა პარლამენტათ“. კომუნისტური პარტია, რომელიც განაგებს სახელმწიფოს, ვერ გადაიქცევა ნოეს კიდობანათ. პარტია უნდა დარჩეს ის, რათაც ის მოწოდებულია დარჩეს: ბოლშევიკური პარტიის ერთი ნაჭერიდან გამოკვეთილად, პროლეტარიატის ავანგარდათ. ცეკა ვალდებულია დარჩეს პარტიის გენერალურ შტაბათ, უნდა სარგებლობდეს მისი სრული დახმარებით და ნდობით. იმ დრომდე, სანამ ამხ. ლენინი ვერ ახერხებს საქმესთან უშუალოდ დაბრუნებას, მისი შეცვლა შეუძლია მხოლოდ კოლექტივს, მხოლოდ ცეკას, რომელიც არჩეულია დიდი ერთსულოვნებით პარტიის მე-12-ე ყრილობაზე და რომელშიაც შედიან პარტიის ყველა საუკეთესო ძალები. ყოველგვარ ფრაქციულ, ჯგუფურ და აგრეთვე პირად გამოსვლებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სავსებით ბოლშევიზმის ძირითად ხაზს, სასტიკი გაკიცხვით უნდა უპასუხოს მთელმა პარტიამ. საერთაშორისო ბურჟუაზია და საერთაშორისო მენშევიზმი, ცხადია, დიდი ყურადღებით იჭერენ პარტიის შიგნით ატეხილი დისკუსიის თითოეულ სიტყვას. ისე არაფერი არ გაახარებს კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს, როგორც კომპარტიის შიგნით შექმნილი უთანხმოება. ეს იმას არ ნიშნავს, ცხადია, რომ ჩვენ უარს ვიტყვით იმ საკითხების პარტიის შიგნით განხილვაზე, რომლებიც [illegible] სიას. მაგრამ პარტიის მთლიანობა დარჩება ჩვენს ძირითად ამოცანად. პარტიის მთლიანობა შეურყეველი უნდა დარჩეს. არავის არ [illegible] პარტიის მთლიანობის შერყევის [illegible]ლება—ამას გვასწავლიდა ჩვენ [illegible] ყოველთვის ამხ. ლენინი. ლენინიზმის, იგივე ბოლშევიზმის მთავარ პრინციპების ერთგულად [illegible] ვართ—ჩვენ გაბედულად [illegible] ბრძოლას ფრაქციებს, ჯგუფებს, ბოლშევიკურ პარტიაში [illegible] მენშევიკური აზრების შემო[illegible] ყველაზე უფრო, როგორც [illegible] ჩანს, გაუფრთხილდებით ჩვენი [illegible] გამოცდილი ბოლშევიკური პარტიის მთლიანობას.

პეტროგრადის ორგანიზაცია, როგორც პარტიის ერთი უძველესი ორგანიზაცია თავის უფლებათ და [illegible]ვალეობად სთვლის მიმართოს ყველა ამხანაგებს წინადადებით, [illegible] ძირშივე აღმოფხვრათ ფრაქციული და ჯგუფების დეზორგანიზატორული მუშაობა, შემოკრბეთ ცეკას გარშემო და დაუყოვნებლივ დაიწყეთ ცეკას მიერ ერთხმად მიღებული რეზოლიუციის მუშათა დემოკრატიის შესახებ ცხოვრებაში გატარება და მომენტის სერიოზულობის სრული შეგნებით [illegible] ვეხმაროთ ცეკას წაიყვანოს პარტია იმ გზით, რომლითაც მიყავდა და კიდევ წაიყვანს მას ამხ. ლენინი.

## ცილისწამების და ჭორიკანობის შესახებ

### „პრავდა“-ს წერილი

**მოსკოვი.** 19 დეკ. „საჭიროა გაბედული პროტესტი გამოეცხადოს სადისკუსიო ბრძოლის ისეთ საშუალებებს, როგორიც არის ჭორიკანობა და ცილისწამება, ხმებზე დამყარება და პირადი ხასიათის გამოკვლევები. ყოველი კომუნისტი, როგორ თვალსაზრისსაც ის არ უნდა იზიარებდეს, ვალდებულია როგორც პარტიის წევრი, დაეყრდნოს არა ხმებსა და ჭორებს, არამედ პოლიტიკურ ტენდენციებს, ღონისძიებებს, წინადადებებს და ფაქტებს და მარქსისტული აუდიტორია არ უნდა დაიყვანოს ქალაქის „მეჩხანების“ დონემდე. ჩვენ დღემდის გარშემორტყმული ვართ მტრებით. ჩვენ განსაკუთრებული საფრთხის გაშვება იქნება ვიფიქროთ, რომ პარტიის შერყევა, რომელსაც [illegible] განიცდის იგი, არის მხოლოდ [illegible]ლი ლაპარაკი. პირად თავდასხმები და ცილისწამების საშუალებები, რომელთაც ხშირად მიმართავენ დისკუსიების დროს, კიდევ უფრო აძლიერებენ საშიშროებას და ხელს უწყობენ პარტიის დაშლას. ამას ბოლო უნდა მოეღოს“.

## ცეკას პოლიტბიუროსაგან

**მოსკოვი.** 19 დეკემბ. „პრავდა“-ში გამოქვეყნებულ ცეკას პოლიტბიუროს დადგენილება ცეკასთან შეუთანხმებლათ ტროცკის გამოსვლის შესახებ წერილით, რომელიც დაეგზავნა პარტიულ კრებებს, რამაც გამოიწვია „პრავდის“ ფურცლებზე გაბედული გალაშქრება და გამოყენებულ იქნა ოპოზიციის მიერ შინაპარტიული ბრძოლის გამწვავებისათვის, ცეკას პოლიტბიურო არ ეთანხმება რა წერილის ცალკე პუნქტებს კატეგორიულათ აღნიშნავს, როგორც ბოროტგანზრახვას, იმაზე ფიქრს ვითომც ცეკაში ან პოლიტბიუროში იყოს ერთი ამხანაგი მაინც, რომელსაც წარმოუდგენია ცეკაში, პოლიტბიუროში და აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მუშაობა ტროცკის აქტიური მონაწილეობის გარეშე. პოლიტბიურო მიუთითებს რა, რომ [illegible] აზრები ვრცელდება ფრაქციული მოსაზრებებით იმ მიზნით, გამოიწვიონ უთანხმოება და [illegible]ვე პარტიული ბრძოლა, თავის ვალეობათ სთვლის მიიღოს ყოველგვარე ზომები, რომ შეთანხმებული მუშაობა უზრუნველყოფილ იყოს მომავალში.

## პარტიული დისკუსიის გამო

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 19 დეკემბერი. პარტიულ მუშაკების კრებამ, რომელსაც დაესწრო 300 კაცი, საგუბერნიო კომიტეტის მდივნის ამხ. უგლანოვის მოხსენების გამო მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ცეკამ თავის დროზე წამოაყენა და სისწორით განსაზღვრა ღონისძიებანი პარტიის შინაგან მთლიანობის განსამტკიცებლათ და ფართო მასებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ.

შინაპარტიულ დემოკრატიის გასატარებელი ღონისძიებანი სავსებით უნდა იქნას განხორციელებული, პარტიის ყველა წევრების დახმარებით და ცეკას ხელმძღვანელობით“.

**ბახმუტი.** 19 დეკემ. გაფართოებულმა პარტიულმა კრებამ 800 წევრის მონაწილეობით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „პარტიაში სავსებით მომწიფდა პირობები მუშათა დემოკრატიის მთავარი ხაზის გასატარებლად. პარტიულ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ცეკას რეზოლიუცია პარტიულ მშენებლობის შესახებ. კრება შეუცდარად სთვლით საკითხის ისეთ განხილვას, როცა ივიწყებენ პარტიის დადებით მიღწევებს. პარტიულ პოლიტიკის საკითხების განხილვამ და აქედან გამომდინარე პარტიის ამოცანების გაღრმავებამ კიდევ უფრო მეტი მთლიანობა და მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს პარტიულ რიგებში“.

**ეკატერინოსლავი** 19 დეკემბ. აქტიურ პარტიულ მუშაკების კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ცეკას ხაზს, ესალმება ცეკას რეზოლიუციას პარტიულ მშენებლობის შესახებ და სდებს აღთქმას შეუცვლელად გაატაროს ცხოვრებაში რეზოლიუციაში აღნიშნული ღონისძიებანი ცეკას საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

**მოსკოვი.** 19 დეკემბ. კოლჩუგინის საერთო საქალაქო კრება ერთხმად შეუერთდა ცეკას რეზოლიუციას და წინადადებას აძლევს რაიკომს შეუდგეს ყველა ღონისძიებათა გატარებას ცეკას რეზოლიუციის მიხედვით.

— უკრაინის კომპარტიის ცეკას პოლიტ-ბიურო და უკრაინის ცენტრალური საკონტროლო კომისია, სავსებით ურთდებიან რა რუსეთის კომპარტიის ცეკას რეზოლიუციას შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ, საჭიროთ სთვლიან სავსებით ჩამოშორდენ პრეობრაჟენსკის და საპრონოვის პოზიციას, რომელიც სახელს უტეხავს პარტიის პოლიტიკას და ეჭვქვეშ აყენებს XI და XII ყრილობების გადაწყვეტილებებს. მცდარი ჯგუფების შესახებ, პოლიტბიუროს აზრით, საჭიროა უფრო მკაფიოდ იქნას გამოთქმული და აღნიშნული უნდა იქნას დაუშვებლობა ყრილობების წინ ჯგუფებისა და ჯგუფობრივ თათბირების დარაზმული გამოსვლებისა. წინადადება ყრილობის რეზოლიუციის გადასინჯვის შესახებ უარყოფილ უნდა იქნას, ყოველგვარი ცდა ჯგუფობრივი საკითხის ფართედ დაყენებისა არის პარტიის მენშევიკურად გაგება. უკრაინის კომპარტიის ცეკა უარყოფს ყოველგვარ დემაგოგიურ გამოსვლებს პარტიულ აპარატის წინააღმდეგ, ამავე დროს საჭიროთ სთვლის მის გამოცოცხლებას და აფრთხილებს ამხანაგებს თავი შეიკავონ ყოველგვარ ოფიციალურ ოპტიმიზმისაგან და წინადადებას აძლევს მათ ხელი შეუწყონ ბრძოლას ნაკლოვანებათა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. პოლიტბიურო, მხედველობაში იღებს რა პარტიული საგანმანათლებლო მუშაობის უდიდეს მნიშვნელობას, საჭიროთ სთვლის აღნიშნულ იქნას ეს რეზოლიუციაში პარტ. მშენებლობის შესახებ.

— საგუბერნიო პარტიულმა კონფერენციამ ოდესაში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ადასტურებს რუსეთის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას.

„სახელმწიფოს მმართველ პარტიის შიგნივე ფრაქციების არსებობა, ნათქვამია რეზოლიუციაში, ნიშნავს რამდენიმე მთავრობების არსებობას და დაღუპვას უქადის პროლეტარიატის დიქტატურას. ფორმულა მხოლოდ „ქვევიდან ზევით“—არის ანარქისტული და მენშევიკური ფორმულა; ფორმულა: „მხოლოდ ზევიდან ქვევით“ არის ბლანკისტური. კომუნისტური ფორმულა კი არის ერთსა და იმავე დროს „ზევიდან ქვევით, და ქვევიდან ზევით“. მუშათა დემოკრატია გულისხმობს არჩევნების გატარებას „ქვევიდან ზევით“. კონფერენციამ მხარი დაუჭირა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებში ფართო არჩევნებითი სისტემას და დანიშვნების აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანას.

— სამარას პარტიული კონფერენცია ესალმება ცეკას პოლიტბიუროს დადგენილებას და ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ დადგენილების სწორი და სრული გატარება მოსპობს პარტიის ნაკლოვანებებს.

### ს. კ. პ. (ბ.) ტ. კ. პლენუმი

ეულია ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფ. კომიტეტის სამდივნოში.

დღის წესრიგში ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია.

სავალდებულოა დასწრება ტფ. კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

---

**საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი**
წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 21 დეკემბერს,
**ერთიან პარტიულ დღეს**
დღის წესრიგი შეიმუშაონ თვით უჯრედებმა.
**ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბინი.**

---

## საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

### სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

**დღის წესრიგი:**

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.
8. მოხსენება ქართული დამწერლობის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი ბ. ხახაშვილი.

---

**1923 წელს, 25 დეკემბერს**
საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის თეატრში დანიშნულია

## ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების

მე-4-ე მოწვევის საბჭოს სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება ამრჩევ კომისიისა.
2) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
3) მოხსენება მე-3-ე მოწვევის საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.
4) არჩევნები.

781—3—2 ცენტრალური ამრჩევი კომისია.

---

## ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი აცხადებს კონკურსს

ლენინის ძეგლის ესკიზისას, რომელიც უნდა იქნეს დადგმული ამხ. ლენინის სახელობის მოედანზე ლენინის ქ. და მოსკოვის ქ. კუთხეში. ჟიურის მიერ მიღებული ესკიზები მიიღებენ ჯილდოს.

1-ლი ჯილდო 100 მან. ბაჯაღლოს ოქრ.
მე-2-ე ჯილდო 80 ,, ,, ,,
მე-3-ე ჯილდო 50 ,, ,, ,,

ესკიზის წარმოდგენის უკანასკნელ დროთ დანიშნულია 1924 წ. 10 იანვარი.

ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომის პრეზიდიუმში.

784—4—2 პრეზიდიუმი.

---

## საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

### საერთ. მუშ. დახმ. კომიტ. კონგრესი

**მოსკოვი.** 19 დეკემბერი. საერთაშორისო მუშათა დახმარების კომიტეტების კონგრესმა, მიმართა მუშებს მოწოდებით გერმანიაში უმუშევრობის ზრდის და სიმშილობის გაძლიერების და ამ ნიადაგზე თვითმკვლელობის გახშირების გამო. დღევანდელი მომენტი დაბეჯითებით მოითხოვს გერმანიის დალუპვის პირას მიმდგარ მცხოვრებთათვის დახმარების დაუყოვნებლივ მიწოდებას. კონგრესი ფიქრობს, რომ გერმანიის სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობაა, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს გაჭირვებულ მცხოვრებთათვის სურსათის და ტანისამოსის შეძენას. გერმანიის მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს უსინდისო მევახშეების და სპეკულიანტების საზიანო და დანაშაულებრივ მოქმედებას. სახელმწიფომ და საზოგადოებამ დაუყოვნებლივ უნდა დასთმონ ბინები სასადილოების მოსაწყობად და ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ დამშეულ მცხოვრებთ. გერმანიის მაძღარ მცხოვრებლებისაგან კონგრესი მოითხოვს თავიანთ თანამემამულეთათვის უნუგეშო მდგომარეობის შემსუბუქებას. მხოლოდ მცხოვრებთა ყველა ჯგუფების დახმარებით და მონაწილეობით ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ შეიძლება მრავალრიცხოვან ხალხის დალუპვისაგან გადარჩენა. გერმანიის უბედურება ავალებს ყველას გაუწოდონ დახმარების ხელი დამშეულ მცხოვრებლებს.

## ახალგაზრდათა კომინტერნში

### საკითხების განხილვა.

**მოსკოვი.** 19 დეკ. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ცეკამ მოისმინა მოხსენება გერმანიის ახალგ. კომკავშირის რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც გამოწვეულია არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლით. კავშირის საორგანიზაციო საფუძველს შეადგენენ საქარხნო იაჩეიკები რიცხვით 50. მიუხედავათ დევნისა გერმანიის ახალგაზრდობის კომკავშირის წევრთა სულიერი განწყობილება მტკიცეა. კარლ-ლიბკნეხტის დღე, 15 იანვარი, ახალგ. კომინტერნის ცეკამ დაადგინა, ჩატაროს გერმანიის ახალგ. კომკავშირისათვის მატერიალურ დახმარების აღმოჩენის ლოზუნგის ქვეშ.

მთავრობის მიერ დაშლილი ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდათა კომკავშირი განაგრძობს მუშაობას; მან უკანასკნელ ხანებში მოაწყო 40 იაჩეიკა მსხვილ სამრეწველო წარმოებებში. შვეციის ახალგაზრდათა კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს გაფიცვებში და აწარმოებს კამპანიას ფაშიზმის გაძლიერების წინააღმდეგ. ჰოლანდიის ახალგ. კომკავშირი იწვევს ამსტერდამში კონგრესს. ფინეთში ძლიერდება მთავრობის რეპრესიები ახალგ. კომკავშირის და კომპარტიის წინააღმდეგ. ესპანეთის ახალგაზრდა კომკავშირის ცეკას 5 წევრს, რომელთაც ბრალად ედებოდათ მაროკკოს ომის წინააღმდეგ აგიტაციის წარმოება მიუსაჯეს ერთი წლით ციხეში დაპატიმრება.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**ნიკოლაევის ნავსადგური.**

**მოსკოვი.** 19 დეკემ. მიუხედავად მრავალ ფინანსიურ სიძნელეთა, ნიკოლაევის ნავსადგურმა შეასრულა პურის ექსპორტის გეგმა 100 პროცენტით. ნავსადგური გადარიცხულია პირველ ხარისხოვანთა რიცხვში.

**ნავთის მრეწველობა.**

**მოსკოვი.** 19 დეკ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ნავთის სინდიკატის თავმჯდომარემ ამხ. ლომოვმა ექსპორტის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ იტალიელ მრეწველების კონსორციუმთან უკვე მოხდა გარიგება 55,000 ტონა ნავთის პროდუქტებზე, მათ შორის 25,000 ტონა ბენზინზე, 15.000 ტონა ზეთზე და 15,000 ტონა ნავთზე. ამ გარიგებაზე ხელისმოწერა—სერიოზული ზიანის მიყენებაა უცხოეთის ნავთის მრეწველთა ერთიანი ფრონტისათვის, რომელიც ჩვენ მეტოქეობას გვიწევდა. საფრანგეთის და აგრეთვე ბელგიის და ჰოლანდიის ფირმებს აქვთ დიდი გარანტიები მსხვილ ბანკებში და ებრძვიან ერთი-მეორეს საბჭოთა კავშირთან შეთანხმებისათვის; ბელგია-ჰოლანდიის ფირმის წარმომადგენელი უკვე ჩამოვიდა მოსკოვში მოლაპარაკების დასაწყებათ; უკანასკნელი აღჭურვილია ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლებით. ფირმა, ჩვენი ნავთის პროდუქტების გაყიდვაზე სამი წლის მონოპოლიის მინიჭების პირობით, კისრულობს 80 000 ტონა ზეთის და ბენზინის შენახვას. ლონდონში ახლო მომავალში დაიდება ხელშეკრულება 100,000 ტონა ნავთის პროდუქტებზე ფირმა „აზიატიკ"-თან, რომელმაც წინათ შეისყიდა 175,000 ტონა ნავთის პროდუქტი. გერმანიიდან არის წინადადება სტინესის და შლიმანის ფირმის. მოსკოვში ახლო მომავალში დასრულდება მოლაპარაკება უნგრეთის, ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის ნავთის ქარხნების წარმომადგენლებთან გროზნოს 100 000 ტონა პარაფინისებური ნავთის გაყიდვის შესახებ. ამ უკანასკნელ დროს ნავთის სინდიკატი მაგრად იკიდებს ფეხს ლატვიის და ესტონეთის ბაზარზე, შედის ლატვიაში და იწყებს მოლაპარაკებას ფინლიანდიასთან და სპარსეთთან. ბენზინის უკვე დამზადებული მარაგი და წლიური ნაწარმოები უკვე შენახულია. არის იმედი, რომ ბენზინის ექსპორტი 4 ნახ. მილ. ფუთით გადააჭარბებს სახელმწიფო გეგმამათა სამმართველოს მიერ დამტკიცებულ პროგრამას. უცხოეთის ბაზრებზე უფრო ნაკლები მოთხოვნილებაა ნავთზე. გაყიდულია დაახლოვებით 6 მილ. ფუთი, ხოლო სულ განზრახულია დაახლოვებით 15 მილ. ფუთის გაყიდვა.

**ლიტვის კომპარტიის 5 წლის თავი.**

**მოსკოვი,** 19 დეკემბერი. კვირას გაიმართა საზეიმო სხდომა ლიტვის კომპარტიის არსებობის 5 წლის შესრულების გამო. სხდომამ მოწოდებით მიმართა ლიტვის კომპარტიის წევრებს და პარტიის თავდადებულ მებრძოლებს, რომლებიც იტანჯებიან ლიტვის ციხეებში. მოწოდებაში გამოთქმულია იმედი, რომ ლიტვის კომუნისტები კაპიტალთან მომავალ ბრძოლებში, შეასრულებენ ისტორიის მიერ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.

**ბრძოლა „მაკრატელთან"**

**მოსკოვი,** 19 დეკემბერი. საკავშირო ტრანსპორტის ფინანსიურმა ყრილობამ დაადგინა, რომ რკინისგზებმა სასტიკად დაიცვან საკრედიტო დისციპლინა. ადგილობრივი ტარიფები პერიოდულათ უნდა გადაისინჯოს, ტვირთების ცალკე კატეგორიებისათვის უნდა დაწესდეს შეღავათიანი ტარიფი, რომ ამით გაადვილდეს „მაკრატელთან" ბრძოლა.

**პურის ექსპორტი.**

**მოსკოვი,** 19 დეკემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს წინადადება საექსპორტო პურის სამხრეთ-რუსეთის ნავსადგურებში გადატანის დროს ძველი სატარიფო სისტემის დატოვების შესახებ.

**პურის დამზადება თურქესტანში.**

**მოსკოვი,** 19 დეკემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ განსაკუთრებულ სრულუფლებიან კომისიას დაავალა სასწრაფოდ განიხილოს საკითხი თურქესტანისათვის პურის დამზადების შესახებ. საბჭომ დაადასტურა დადგენილება თურქესტანში 20 მილიონი ფუთი ხორბალის შეტანის შესახებ.

## სპარსეთის გამოფენა

### პავილიონების გახსნა.

**ბაქო.** 18 დეკემბ. 22 ნოემბერს სრულიად სპარსეთის პირველ გამოფენაზე თეირანში, რეგენტის, დიპლომატიურ კორპუსის, საზოგადოებრივ და წოდებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანდასწრებით გაიხსნა საბჭოთა კავშირის პავილიონი.

საზეიმო გახსნის წინ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა, ამხ. შუმიაცკიმ, გადასცა საგამოფენო კომიტეტს საბჭოთა კავშირის მთავრობის მისასალმებელი დეპეშა. დეპეშამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარემ მოსტაშემ-სულტანმა აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა შორის მხოლოთ საბჭოთა რუსეთი გამოეხმაურა თანაგრძნობით წინადადებას გამოფენაზე მონაწილეობის შესახებ. საბჭოთა კავშირის ტექნიკურ და სამრეწველო საშუალებებით განათებულია გამოფენის ტერიტორია, დადგმულია საუცხოვო კინო, გამოფენილია მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და სხვა ექსპონატი. მართალია, ინგლისმა აღუთქვა საგამოფენო კომიტეტს 14 მანქანის გამოგზავნა, მაგრამ ეს ექსპონატები ჯერ არ არის მიღებული. გერმანიამ გამოგზავნა მხოლოდ ორი მანქანა და ისინიც ისე არიან დაზიანებული, რომ მათი გამოფენა შეუძლებელია. შემდეგ მოსტაშემ-სოლტანმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის დეპეშის მიღება, რომელიც მან პრემიერ-მინისტრის ხელით გადასცა რეგენტს.

რეგენტის საპასუხო სიტყვის შემდეგ სტუმრებისთვის გაიმართა ჩაი. ამის შემდეგ დაიწყო გამოფენის დათვალიერება.

განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე საბჭოთა პავილიონებმა. ასეთი პავილიონი გამოფენაზე ორია: ერთში,—რომელიც ლამაზათ არის მორთული ლირწმის ფარდაგებით, მოთავსებულია მამოძრავებელი მანქანები—დიზელები, რომლებიც ელექტრონის შუქს აწოდებენ მთელს გამოფენას. მეორე პავილიონში,—რუსულ სტილით აგებულ ფუნდამენტალურ შენობაში,—შეკრებილია სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ელექტროტრესტის, ლითონის მთავარ სამმართველოს და სხვათა ნაწარმოებნი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის შენობაში გამოფენილია ყველა ის ექსპონატები, რომლებსაც არ აქვთ კავშირი სასოფლო მეურნეობასთან. გამოფენის დათვალიერების შემდეგ, რეგენტმა გამოსთქვა ულრმესი კმაყოფილება და სთხოვა საბჭოთა წარმომადგენლობას გადაეცა მისი სახელით სალამი საბჭოთა კავშირის მთავრობას და ყველა სამეურნეო ორგანოებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სპარსეთის გამოფენის წარმატებას და აჩვენეს სპარსეთის ხალხს მისი უახლოეს მეზობლის დიდი ტექნიკური მიღწევები.

გახსნის შემდეგ დღეებში მოსახლეობის ინტერესი გამოფენისადმი სულ უფრო ძლიერდებოდა. საბჭოთა პავილიონები, მართლაც, საუკეთესო სანახაობას წარმოადგენს გამოფენაზე. ისინი იწვევენ არა თუ სპარსელ მოსახლეობის, არამედ, აგრეთვე უცხოელთა დიდ ყურადღებას.

პავილიონში № 1, რომელიც აშენებულია გამოფენის ტერიტორიაზე, სპარსელებს განსაკუთრებით აინტერესებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გუთნები, სათესი იარაღები და სხვა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტრაქტორი „ზაპოროჟეც"-ი. სპარსელები მოუთმენლად მოელიან ტრაქტორის პრაქტიკულ გამოცდას, რომელიც მოხდება ქალაქს გარეთ, საცდელ მინდორზე.

## ტფილისის საბჭოს არჩევნები

ს. კ. პ. ტ. ორგ. ქალაქის აღმასკომის საარჩევნო კომისია იუწყება, რომ დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში მოხდება ყველა შოფერების არჩევნები ქალაქის საბჭოში.

ვთხოვთ დაწესებულებათა და წარმოებებს, აღნიშნულ დროისათვის განთავისუფლონ შოფერები.

**საარჩევნო კომისია.**

### არჩეულნი არიან:

**1) მეოთხე რაიონის მედიკო-სანიტარულ დარგის მუშაკთაგან:** საბაშვილი (კომ.), ავაკოვი (კომ.), ხუტულაშვილი (კომ.), ვახაძე (კომ.), ბეგლაროვი (კომ.), შაგირდოვი (კომ.), ჩიხლაძე (კომ.), ფრანგულიანი (კომ.), გლუზინი (კომ.), მამულია (კომ.), ქუთათელაძე (ყოფილი მენშევიკი), ეფიმოვი, ნაზარეტიანი (ყოფილი მენშევიკები), ასლანიშვილი, ვადაჭკორია (ყოფილი მემარცხენე, ფედერალისტები), კანდიდატებად: ჩხეიძე, (უპარტიო), სურკოვი (უპარტიო) და ბარამიძე (კომ.).

**2) ორთაჭალის რაიონის მუშათა ცოლებისა და დებისაგან:** ამხ. პეშკო (კომ.) კანდიდატებად კანანიანცი (უპარტიო).

**3) სოფელ თელეთის გლეხებისაგან:** ამხ. ამხ. ცომაია (კომ.) ლომინაძე (კომ.) და ბადალოვი (კომ.).

**4) მეეზოვეების, მარკიმაზერების და მრეცხავი ქალებისაგან:** ამხ. ამხ. ტოფაძე (კომ.) გრეკოვი (კომ.), აფანასიევი (კომ.), ბაღდასაროვი (კომ.), გოლუბევა (კომ.), ლეკი (კომ.), რაზგოევი (უპარტიო), კანდიდატებად: ისააკიანი (უპარტიო), გავრილენკო (უპარტიო), კიკილიანი (უპარტიო), პეტროსიანი (უპარტიო) და სიმონიანი (უპარტიო),

**5) ცალკე შინამოსამსახურეებთაგან** ამხ. ამხ. ჩოდრიშვილი (კომ.) ხომერიკი, (კომ.), შაიშვილი (კომ.) ვარძიელი (კომ.) გოგობერიძე (კომ.) გიორგი სტურუა (კომ.), ჩუბუხჩიევი, იაშვილი გედევანიშვილი (ყოფილი მემარც. ფედერ.) პირველი (ყოფ. მენშევიკი) და შტეინბერგი. კანდიდატებად: მუტაფიანი (კომ.), ბაზარაშვილი (უპარტიო), უნბაძე (კომ.).

### ცენტრალურ პარტიულ სკოლაში

ამხ. ხაჭაპურიძე აღნიშნავს იმ მოვლენას, რომ უპარტიო მასსა თანდათან უახლოვდება კომუნისტებს და რომ ეს დაახლოვება მიმდინარე წელში ნათლად, ფაქტებით მჟღავნდება.

აღნიშნულ სკოლაში საბჭოს არჩევნები საუკეთესოდ ჩატარდა. ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ხაჭაპურიძე და კანდიდატად ამხ. კოხტაშვილი (კურსანტი).

მუშ. ადგილობრივი.

### პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში

10 დეკემბერს დარბაზი სავსეა.

თავი მოუყრიათ მკერავ და მეტყავე მუშებს.

ამხ-ბი მარკაროვი და მორჩილაძე, (პირველი რუსულად, მეორე ქართულად) კრებას აცნობენ ძველი საბჭოს მოღვაწეობას.

იწყება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

არჩეულ იქნენ: ამხ-ბი მიხა ცხაკაია, კახიანი, არუსტანოვი, მორჩილაძე, მანაგაძე, ქირიაკოვი. აირაპეტოვი, თუშიშვილი (უმუშ. ქალი) და პინოსიანი.

მათ კანდიდატებათ, ამხ-ბი: ბიკეტოვი, კაჭარავაშვილი და ბარანოვიჩი.

მუშკორი მახს.

### საქსოვ ფაბრიკაში

სასურსათო სახალხო კომისარიატის როზა ლიუქსემბურგის სახელობის საქსოვი ქარხნის მუშები და განათლების სახალხო კომისარიატის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის მოწაფე ქალები ქალაქის საბჭოში დელეგატებს ერთად ირჩევენ.

მანქანები შეწყნარდენ.

ყველაფერი მიალაგ-მოალაგეს და კრებას ხსნიან.

მომხსენებელი ვრცლად ლაპარაკობს როგორც საერთოდ სახალხო მეურნეობის, კერძოთ ქალაქის მეურნეობის აღორძინებაზე და მის გამშვენიერების შესახებ. მოკლედ ახასიათებს ყოფილ საბჭოს მოქმედებას.

„ნაკაზ"-ს კრება უცვლელად ღებულობს.

საბჭოში დელეგატებად ირჩევენ ორ ამხ. ქალს. ესაიანს ნაიდას და ქიქოძე ნატალიას. „ჩვენ თქვენ გაგზავნით, რათა იმუშაოთ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დაიცვათ ყოველ ნაბიჯზე და ყოველ საკითხში ჩვენი ინტერესები"-ოეუბნებიან მუშები არჩეულ ამხ. ქალებს.

მუშკორი X.

## ეკონომიური ცხოვრება

**ვალიუტის კურსი ტფილისში.**
(19 დეკემბერი).

| | |
|---|---|
| ჩერვონცები — — — | 325,000 |
| ინგ. სტერლინგ. ფუნტი | 320,000 |
| ჩეკები — | 319,000 |
| დოლარები ფურც. — | 75,000 |
| ჩეკები — | 71.000 |
| თურ. ქაღ. ლირა | 43.500 |
| იტალიური ლირა | 2350 |
| ფრანგული ფრანკი | 3500 |
| საბჭ. ფულის ნიშნები | 14 ნახ. |

**მუშკოოპის ფასები.**

პური 1 ხარ.—1500 ათ., პური 2 ხარ —1250, ძროხის ხორცი—4,500 ათ. ცხვრის ხორცი—6000 ათ., შაქარი რაფინადი—14,820 ათასი, ფხვნილი შაქარი—9,300 ათ ვერმიშელი—4800 ათ. ბრინჯი ადგ.—2300. ათ. კარტოფილი—450. ათ.

**ტფილისის ბაზრის ფასები.**

პური 1 ხარ.—2 მილ. პური 2 ხარ.—1.500 ათ., ძროხის ხორცი 5500 ათ. ცხვრის ხორცი—6500 ათ., შაქარი. რაფინადი—15,000 ათასი., ფხვნილი შაქარი—12 მილ., ვერმიშელი 5000 ათ., ბრინჯი ადგ.—3 მილ., კარტოფილი—600 ათ.

**ბირჟის მიწოდება.**

სინგაპურის პილპილი. კაკაო-ზეთი კაკაო (მარცვლოვანი). პარაფინი. კვებრახას ექსტრაქტი. მავთული (რბილი). პურის სპირტი. შვეიცარული ყველი. სარეპტის მდოგვი. „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია. ბორჯომის ქარხნის პროდუქცია. ყურაგა. ფოთოლი ლაგოდეხის თამბაქო; შაქარი რუს. 1 ხარ. საშენებელი ლურსმნები. შაქარი ფხვნილი „იავა". რუს. მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. ფანჯრის მინა. ხორბალი ადგილობრივი. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. ს. მ. უ. ს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.) ცემენტი და ეტერნიტი. ყუბანის ფქვილი. რკინეულობა. ოზურგეთის ჩაი. ალური. საზზა.

**ბირჟის მოთხოვნილება.**

ტექნიკური ცხიმი, საზზა, ყურაგა, ხორბალი და პურეული, ღვინის ბოთლები, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი (საკანდიტრო), ჭაჭის არაყი (1.000.000 გრ.), ჩაი, ასანთი რუს, ლურსმნები,

**ოფიციალური ნარიხები**

ფქვილი (პურის)—1 მ. 80 კ. ჩერ. ფუთში და 1 მ. 75 კ., ფრანკო საზ. „ტრანსპორტ"-ის საწყობი. შვეიცარული ყველი—30 მან. ჩ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი. ქვამარილი ნახარჩ.—85 კ. ფუთში, ფრანკო სადგ. ტფილისი.

**საქონლის ბაზრის განწყობილება**

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება—უცვლელია.

**ვალიუტის ბაზრის განწყობილება**

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსმა სწრაფად აიწია (ჩერვონეცს ერთის დღეში მოემატა 20 მილ).

**ბირჟის გარეშე გარიგებანი.**

17 დეკემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 20 გარიგება, სულ 64.486 მან. ჩერ. თანხისა.

---

## საბჭოთა აღმშენებლობა რაჭის მაზრაში

### აღმასკომის მუშაობის საერთო მიმოხილვა

რაჭის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი შესდგება სამი წევრისაგან: პ. წულუკიძე (თავმჯდომარე) ნ. ენუქიძე და ა. გაბუნელიძე. პრეზიდიუმის სხდომები იმართებოდა კვირაში ორჯერ, ხოლო აღმასკომის პლენარული სხდომები—სამ თვეში ერთხელ. აღმასკომთან არსებობს რვა განყოფილება: კომუნალური, ფინანსიური, განათლების, ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების, სატყეო-საექსპლოატაციო კოლეგია, ჰიდრო-ელექტრონის სადგურის კომიტეტი და სოციალ უზრუნველყოფის რწმუნებული.

აღმასკომის შემოსავალი 1923 წ. პირველ იანვრიდან იმავე წლის პირველ ნოემბრამდე უდრიდა 19 მილიარდ 760 მილიონ მანეთს. ა. კ. ცაკას 2 აპრილის დეკრეტის თანახმად სამაზრო აღმასკომები გადაყვანილი იქნენ ადგილობრივ ხარჯებზე და მაშასადამე ჩვენ ამ მცირე შემოსავლით 19 მილიარდით უნდა შეგვენახა თითქმის ერთი წლის განმავლობაში სამ-აღმასკომი მისი უმთავრესი განყოფილებებით და თემ-აღმასკომები მაშინ, როდესაც ამავე დროის განმავლობაში, პირველ იანვრიდან პირველ ნოემბრამდე, საჭირო იყო 77,530,000,000 მანეთი. ამნაირად ჩვენ გვაკლდებოდა 57 მილიარდი 780 მილიონი მანეთი, რომელიც მიღებულ იქნა დოტაციის წესით, ცენტრიდან დიდი წვალების და ენერგიის დახარჯვის შემდეგ. რა თქმა უნდა ცენტრს არ ეხალისება ჩვენი წვალება. მაგრამ ერთის მხრით მასაც უჭირს, მის ბიუჯეტიც დეფიციტიანია, ხოლო მეორე მხრით თითქმის ყველა მაზრები, მდიდარი და ღარიბი ერთნაირად ითხოვენ დოტაციებს; ეს იმის შედეგია, რომ ბევრ მაზრებში არ არის სწორი აღნუსხვა შემოსავალ გასავლისა, ზოგან კი სრულებით არავითარი აღნუსხვა არ არის. ამით მეტად იჩაგრება ასეთი ღარიბი მაზრები, როგორიც არის რაჭა. მომავალში უნდა ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება.

მენშევიკებიდან ჩვენ მივიღეთ სრულებით დაცარიელებული საწყობები, დანგრეული და გაფუჭებული გზები, ხიდები, სკოლები და სხვა. ლაპარაკი რაიმე ახალზე რაჭაში, რომელიც მენშევიკების ხელში დაწყებულიყო და გაკეთებულიყო, ზედმეტია. ამას მიუმატეთ 1922 წ. რაჭის გლეხობისთვის უნახავი შიმშილობა და თქვენთვის ნათელი იქნება, როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში მოუხდა მუშაობა აღმასრულებელ კომიტეტს, რამდენი დაბრკოლებები უნდა გადაელახოს მას, რომ პირნათლად შეესრულებია თავისი მოვალეობა მშრომელთა ინტერესების დაცვაში.

ჩვენ თავიდანვე დავისახეთ სამი უმთავრესი ამოცანა: 1) გზების და ხიდების გაკეთება, სადაც ეს მეტად საჭიროა, 2) ელექტროფიკაცია, 3) ტყის ექსპლოატაცია. ცხადია, რომ ისეთი უდაბნო, როგორიც არის რაჭა, მუდამ უდაბნოდ დარჩება, თუ ის არ დაიქსელა გზებით. გარეშე ამ პირობებისა ყოველგვარი კულტურული დაწესებულება აქ ძირშივე ჩაკვდება. მეორე მხრით ჩვენ ვიცით, რომ რაჭა მდიდარია მადნეულობით, რომელთა დასამუშავებლათ საჭიროა მექანიკური ძალა. ეჭვს გარეშე, რომ ელექტროფიკაციას დიდი მნიშვნელობა ექნება რაჭაში, არა მარტო საქარხნო წარმოებაში და განათებისათვის, არამედ სასოფლო მეურნეობისათვისაც. ამის გამო ჩვენი მოვალეობა იყო ამ საქმისათვის სათანადო ყურადღება მიგვექცია.

მესამე საქმე, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია რაჭისათვის, რისთვისაც ჩვენ ადრევე უნდა მოგვეკიდა ხელი, არის ტყის ექსპლოატაცია. ამ საქმეს წინეთ აწარმოებდინ კერძო მრეწველები. ჩვენი ამოცანა უნდა ყოფილიყოს მათი აქედან განდევნა და სატყეო საქმის აღმასკომის მიერ აღება, რათა ამით ერთის მხრით საზღვარი დაგვედო ტყის განადგურებისათვის, ხოლო მეორე მხრით გაგვეჩინა ღარიბი აღმასკომისათვის მცირეოდენი შემოსავლის წყარო ტყის რაციონალური ექსპლოატაციის საშუალებით. ეს სამი უმთავრესი საქმე ჩვენ თითქმის ერთ და იმავე დროს დავიწყეთ; საუბედუროთ 1922 წელში ამ მიმართულებით მუშაობა ძლიერ შეგვიფერხა სიმშილობამ, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველათ ჩვენ მოგვიხდა ყველა ძალების და მთელი ენერგიის დაჭიმვა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენმა თავდადებულმა მუშაობამ იხსნა რაჭის გლეხობა სრულ განადგურებისაგან.

ამ სიმშილობის დროს ჩვენ შემოვიტანეთ მაზრაში და დავურიგეთ გლეხობას უფასოთ დაახლოვებით 60 ათასი ფუთი ხორბლეულობა (სათესლე და დამშეულთათვის) გარდა იმ ხორბლისა, რომელიც ჩვენი უშუალო დახმარებით გლეხობამ გამოიტანა გურია, სამეგრელო და კახეთიდან. ამნაირად სიმშილობამ საგრძნობლათ შეუშალა ხელი ჩვენს სააღმშენებლო მუშაობას, რამოდენიმე ხნით დაგვავიწყებია ის, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით დაწყებული საქმეების სათანადო დონეზე დაყენება. მართალია არც ერთი ამ საქმეთაგანი დამთავრებული არ არის, მაგრამ სამუშაოები იმ ზომამდი მიყვანილია, რომ მათი დამთავრება უზრუნველყოფილია. გარდა ამ სამი ძირითადი ამოცანისა, აღმასკომს უხდებოდა და მომავალში კიდევ მეტად მოუხდება ხელის შეწყობა სწავლა-განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, აგრონომიული დახმარების საქმისათვის.

ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვეძახით, რომ განათლება გზა და ხიდია კომუნიზმისათვის, მაგრამ თუ რამდენათ ვახორციელებდით ჩვენ ამას პრაქტიკაში, მგონია დიდი საყვედური ამ მხრით ვერავინ გვითხრას, ვინაიდან რაც შეიძლებოდა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეძლება გვქონდა და მატერიალური მოხერხება არ დაგვიზოგავს. მოწაფეთა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა და ამისდამიხედვით საჭირო შეიქნა მასწავლებელთა შტატის გადიდებაც და მათი მატერიალური კეთილდღეობაზე ზრუნვა. თუმცა ეს მეტ ნაწილად სახალხო განათლების კომისარიატზე არის დამოკიდებული, ვიდრე სამაღმასკომზე. მეორე მხრით ჩვენ არ შეგვეძლია ყურადღება არ მიგვექციოთ არსებულ სკოლების შეკეთების და ახლების აგებას. ამ მიმართულებით ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი. განათლების დარგში აღმასკომის ყურადღებას იქცევდა ტექნიკუმის მდგომარეობა. აქ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვერც წარსულში და ვერც ეხლა ტექნიკუმი ვერ იარსებებდა და ვერც იარსებებს, რომ აღმასკომს არ გაეწიოს მისთვის და ეხლა არ უწევდეს თვალსაჩინო დახმარებას. რაც შეეხება მოწაფეებისათვის დახმარების საქმეს, აქ ჩვენ ვერაფერს დავიტრაბახებთ. მოწაფეობის დიდი ნაწილი მეტად მძიმე და აუტანელ პირობებშია. სასწავლებლები ავსილია შიშველ-ტიტველ და სამოსწავლო ნივთებსა და წიგნებს მოკლებული ახალგაზრდობით. წარსულ წელში ჩვენ მათ ძლიერ მცირე დახმარებას უწევდით, წრეულს კი იძულებული შევიქენით მოწაფეების უღარიბესი ნაწილი წიგნებით მაინც მოგვემარაგებია უფასოთ. ამ მიზნისათვის აღმასკომმა გადაიხადა 100 ჩერვონეცის მანეთი განათლების კომისარიატის ფულიდან და შუამდგომლობა აღძრა, რომ ეს ფული, უკეთ ამ ფულების ღირებული წიგნები დაეთმოს მოწაფეებს უფასოთ. ჩვენი მუშაობა განათლების დარგში ამით არ ამოიწურება.

საბჭოთა მთავრობის მიზანია შექმნას ახალი სკოლა ე. წ. შრომის სკოლა, სადაც ახალგაზრდობამ უნდა მიიღოს არა მარტო თეორეტიული წიგნებიდან ამოღებული გაზეპირებული და დამახინჯებული ცოდნა, არამედ პრაქტიკაც. ძველი სკოლა ამ მიზანს ვერ აღწევდა, ხოლო ახალმა რომ შესძლოს ახალი ამოცანების შესრულება, საჭიროა პირველ ყოვლისა მასწავლებელთა მომზადება, მათ მიერ სკოლის ახალი პრინციპების შეთვისება. ამ მიზნით განათლების კომისარიატმა მოაწყო აქ მოკლევადიანი მასწავლებელთა კურსები და ამ საქმეში აღმასკომმა საკმაო დახმარება გაუწია როგორც მასწავლებლებს ისე კურსების მოწყობით.

საექიმო დახმარება აქ ძალიან ფართოდ და მასთან მეტ ნაწილად უფასოდ უნდა ეძლეოდეს გლეხობას, მაგრამ ეს შეუძლებელია მანამდი, სანამ ცენტრი არ მიიღებს თავისთავზე საავადმყოფოების და საექიმო პერსონალის შენახვას. ეხლა მდგომარეობა ისეთია, რომ ჯანმრთელობის განყოფილებას მიაქვს აღმასკომის შემოსავლის თითქმის ნახევარი, მაგრამ ესეც საკმარისი არ არის, რის გამო საქმეც ვერ არის სასურველად დაყენებული. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჯანმრთელობის დარგში ეხლა მუშაობა უფრო წინ არ იდგეს, ვიდრე ეს იყო ოდესმე, წარსულში ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საექიმო პერსონალი ეხლა მეტია, ვიდრე წარსულში, ავადმყოფებისთვის დახმარებაც უფრო თვალსაჩინოა, მაგრამ ერთობ ცუდია მოსამსახურეების მდგომარეობა და არც შეიძლება გამოსწორდეს ის ცენტრის დაუხმარებლად. მთელს მაზრაში არსებობს ორი საავადმყოფო, რაც საკმარისი არ არის ოდნავათაც. მასთან საავადმყოფოების შენობები ძლიერ დაზიანებულია, ესაჭიროებათ კაპიტალური რემონტი, რისთვისაც ზომები მიღებულია.

ჯანმრთელობის და სწავლა-განათლების დარგებთან დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის დარგი. უკანასკნელ დრომდი სოციალურ დახმარებას ღარიბ-ღატაკთ ჩვენ უწევდით დამშეულთა კომიტეტიდან და აღმასკომიდან. ამ ორი-სამი თვის წინად ისევ დაარსდა სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება, დამშეულთა კომიტეტს კი ლიკვიდაცია ექნა. ამიერიდან სოც. უზრუნველყოფის განყ. ხელში გადავიდა ყოველგვარი დახმარების საქმე, მაგრამ ჩვენ თავი არ უნდა მოვიტყუოთ იმის შესახებ, რომ ასეთ ღარიბ მაზრაში სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ შესძლოს თავი გაართვას ამ მეტად მძიმე საქმეს აქ როგორც ჯანმრთელობის საქმეში საჭიროა ერთის მხრით ცენტრის დახმარება, მეორე მხრით კი საურთიერთო დამხმარე კომიტეტის ამუშავება. უკანასკნელთა არსებობა უაზროა, თუ მათ ვერ შესძლეს დახმარების ფონდის შექმნა ნებაყოფლობითი საწევრო გადასახადების შემოღებით. როგორც სოც. უზრუნველყოფის განყოფილება, ისე საურთიერთო დამხმარე კომიტეტები ახლად მოწყობილი ორგანიზაციებია, ჯერ მათი მუშაობა არ სჩანს. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების დახმარებით მომავალში ისინი შესძლებენ თავის დანიშნულების გამართლებას.

რაც შეეხება აგრარულ რეფორმას—ჩამორთმეულია სულ 354 დესეტინა, რომელიც დაურიგდა ღარიბ გლეხობას, ხოლო მცირე ნაწილი დარჩა საფონდოთ და სოფლის საზოგადოებათა სარგებლობაში. აგრონომიული განყოფილების მუშაობას მხოლოდ ეხლახან მიექცა მეტი ყურადღება. ამ განყოფილებამ მხოლოდ ეხლა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით მიწათმოქმედების კომისარიატმა უნდა გაიღოს საჭირო თანხა და სხვადასხვა სამეურნეო იარაღების საკმაო რაოდენობა. ყოველ შემთხვევაში ამ განყოფილების მუშაობა მხოლოდ ეხლა დაიწყო და ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია ვსთქვათ, შესძლებს თუ არა ის ამ მეტად საჭირო მუშაობა-საქმიანობის გაშლას. ამ დარგში მუშაობა ბრკოლდება უმთავრესად გამოცდილი და თავდადებული დაინტერესებული აგრონომების უყოლობის გამო.

სამაზრო აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევდა კოოპერატიული მოძრაობის განვითარებას. აღმასკომს უხდებოდა არა მარტო იდეიური ხელმძღვანელობის გაწევა, არამედ მატერიალური დახმარება-მიწოდებაც კოოპერაციისათვის.

### კომუნალური განყოფილების მუშაობა.

განყოფილებამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია გზების და ხიდების აღდგენა-აშენებას. წყალდიდობისაგან სრულებით დაზიანებული ხიდების და გზების აღდგენას დიდი მუშაობა დასჭირდა:

**ონის სახედრო გზაზე.**

1) შესრულებულია მიწის სამუშაო 1590 კუბ. საჟ. 2) გაკეთდა ახალი ხიდები ძველის მაგიერ 59,07 სიგ. საჟ. 3) ამოშენდა კედლები გზის გასაკეთებლათ 164 კუბ. საჟ.

**საქართველოს გზაზე, რომელიც ახლად გაგვყავს.**

1 ხარისხის მიწის სამუშაო 4569,34 კუბ. საჟ. მეორე ხარისხის (მაგარი მიწა) 947,92, (კლდე) 1122,44; ხიდები და ტრუბები 23 სიგ. საჟ. პლანიროვკის დროს გზის საჭიროებისათვის გაკაფულია ტყე 11,44 კვ. საჟ.

**მეორის შოლის გზაზე (ხარისხთავლის ხევამდე).**

1) დამთავრებულია გამოკვლევა 16 ვერს. სიგრ. 2) შედგენილია გეგმა სამი ხიდის. 3) დასრულებულია მიწის სამუშაო 5 ვერსის მანძილზე.

**მდ. რიონზე დაარსებული ხიდები.**

ონის ხიდი ქვის კურტნებზე 41 სიგ. საჟ. წინეთის ხიდი 35 სიგ. საჟ. დაბა ონის ხიდისათვის 4 კუბ. საჟ. ხიდიკრის ხიდი 12 საჟ. ბუგეულის ხიდი 35 სიგ. საჟ. ჯაჯორის ხიდი 15 სიგ. საჟ. უწერის ხიდი 12 სიგ. საჟ. სულ 147 სიგ. საჟ. კეთდება ბუგეულის ხიდი 35 სიგ. საჟ. ზნაკვას ახლო 10 სიგ. საჟ. მდ. შარეულაზე 15 სიგ. საჟ. პიპილეთის მდ. ჯაჯორზე 20 სიგ საჟ.

**ელექტრო-სადგური.**

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ელექტრო-სადგური, რომელიც შენდება რიცეულაზე. მუშაობა დაიწყო მარტის პირველ რიცხვებიდან. საქმის დაწყებისათვის საჭირო საორგანიზაციო თანხა სამაზრო აღმასკომმა გაიღო. პირველი მუშაობა იყო გზის გაკეთება სიგრძით 4 ვერსა 25 საჟენი. გამოყვანილ იქნა ახლო-მახლო სოფლებიდან, რომელთათვისაც ეს გზა ისეც საჭირო იყო, 724 მუშა დღე-კაცი და 900 მუშა დღე-ურემი; ამოღებულია დაახლოვებით 8000 კუბ. საჟ. მიწა და ერთი ვერსის მანძილზე გზა მოკირწყლულია. სწარმოებდა ქირით მუშაობაც.

მსხვილი სამუშაო გაცემული იყო საჯარო ვაჭრობით, ხოლო წვრილი სამუშავრები სწარმოებდა დღიურ მუშაობით.

თვით სადგურის ასაგებათ უკვე გაკეთებულია:

სადგურის შენობის ასაგებათ მის წორებულია მიწა—160 კუბ. საჟ. დამზადებულია სილა ქვიშა 10 კუბ. საჟ., დამზადებულია საკირის ქვა—15 კუბ. საჟ., დამზადებულია და ნაწილი მოტანილია საკირისთვის შეშა—40 კუბ. საჟ., აგებულია ერთი საკირე და დადგმულია დასაწვავათ სიღრმე 8 არშ. 4 არშ. სიმ. დამზადებულია სადგურთან ერთი მუშების ბარაკი სიგრძით 20 არშინი, სიგანით 6 არშინი.

დამზადებულია ალებასტრი წესში 6 კუბ. საჟ., დადგმულია არხის ახლოს [illegible] მუშების ბარაკი სიგრძით 46 არშინი, სიგანით 6 არშინი, შეკეთებულია წეხურში მუშების ბარაკი, დადგმულია ხის შენობა ტექნიკურ პერსონალისათვის და კანტორისათვის 4 თვალი სამზარეულოთი, გაყვანილია ფართე ბილიკი მთელ არხის სიგრძეზე 2 ნახ ვერსით დაწყებულია არხის მუშაობა სათავეში, დამზადებულია სადგურისათვის ხის მასალა 15000 ვერშ., გაკეთებულია გზა ტყეში მასალის საზიდავათ, შესრულებულია ჰიდრო-ტექნიკური გამოკვლევები მომავალ სადგურის გასაფართოებლათ.

**ქ. ონში.**

აბანო ორი ნომრით და ერთი საერთო;

გადაკეთებულია მუნიციპალიზაციაქმნილი შენობა თეატრად და კლუბათ;

შეხურულია ახლათ ხუთი უდიდესი შენობები.

მოეწყო ყოფ. ეკლესიის შენობაში სპორტკლუბი.

გაკეთდა მდ. რიონზე წყლის ჯებირები, დაახლოებით 95 კუბ. საჟენი.

**სხვა და სხვა სამუშაოები.**

გაყვანილია სოფ. ჯორჯაში წყალსადენი არხი 2 ვერსზე.

უწერის საავადმყოფოში შეკეთდა სრულიად დანგრეული შენობები, 5 აბანო და მჟავე წყალი.

გაყვანილია სათემო გზები 12 თემში.

(შემდეგი იქნება)

## ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(19 დეკემბერი.)

| ჩერვ. | ბონით | ჩერვ. | ბონით. |
|---|---|---|---|
| 1 ქ.— | 325.000, | 60 ქ.— | 19.500.000 |
| 2 „— | 650.000, | 70 „— | 22.750.000 |
| 3 „— | 975.000, | 80 „— | 26.000.000 |
| 4 „— | 1.300.000, | 90 „— | 29.250.000 |
| 5 „— | 1.625.000, | 1 მ.— | 32.500.000 |
| 6 „— | 1.950.000, | 2 „— | 65.000.000 |
| 7 „— | 2.275.000, | 3 „— | 97.500.000 |
| 8 „— | 2.600.000, | 4 „— | 130.000.000 |
| 9 „— | 2.925.000, | 5 „— | 162.500.000 |
| 10 „— | 3.250.000, | 6 „— | 195.000.000 |
| 20 „— | 6.500.000, | 7 „— | 227.500.000 |
| 30 „— | 9.750.000, | 8 „— | 260.000.000 |
| 40 „— | 13.000.000, | 9 „— | 292.500.000 |
| 50 „— | 16.250.000, | 1 ჩერ | 325.000.000 |

## ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა

(ოქტომბერი)

ოქტომბრის განმავლობაში ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა—იმპორტი და ექსპორტი, სხვადასხვა საგანთა მიხედვით, გამოიხატება შემდეგი ციფრებით (უტრანზიტოთ):

**იმპორტი:** სასურსათო საგნები (ათას მანეთებში)—204,8, ხორცის პროდუქტები—273,5, ხე-ტყე და ხის ნაწარმოები—2,1, კერამიკული ნაწარმოები—7,2, სათიბი და ფისი—8,7, ქიმიური მასალა და ნაწარმოები—54, მადნეული და ლითონი—163,1, ქაღალდი და მუყაოთი ნაწარმოები—87,7, საფეიქრო მასალა და მათი ნაწარმოები—72, ტანსაცმელი, გალანტერეა და სხ.—60, სულ 933,4 ათ. მან.

**ექსპორტი:** სასურსათო საგნები—199,5, ნედლეული და ნახევარ ფაბრიკატები—948,6 და სხვადასხვა ნაწარმოები—96,8, სულ 1244,9 ათ. მან.

მაშასადამე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უტრანზიტოთ უდრის 2178,3 ათ. მან.

ამ თვეშივე სატრანზიტო იმპორტი უდრის 816,5 ათ. მ., ხოლო სატრანზიტო ექსპორტი 283,9 ათ. მან., და ამგვარად საერთო საგარეო ბრუნვა ტრანზიტით უდრის 3278,7 ათ. მან.

# პროფკავშირებში

## პროფ. გ. ც. ს. გაფართოებული პლენუმი

### მოხსენება მუშკოოპის მოქმედების შესახებ

(მომხსენებელი ამხ. ერისთავი)

მთლიანი მუშათა კოოპერატივი ტფილისის მასშტაბით აერთიანებს 29 ათას წევრს, რომელთაც შეტანილი აქვთ კოოპერატივში შესასვლელი გადასახადი. ამ რიცხვიდან კოოპერატივის აქტიური წევრია ამ ჟამად 12.882 კაცი, ანუ კავშირის წევრია 30 პროცენტი. ზოგიერთი კავშირის წევრთა 80 პროცენტი უკვე ჩარიცხულია კოოპერატივში.

როგორც პროფკავშირების, ისე კოოპერაციის წინაშე სდგას მორიგ ამოცანად კავშირის ყველა წევრების კოოპერაციაში ჩარიცხვის საკითხი.

**მუშკოოპის სავაჭრო მოქმედება.**

ვაჭრობა სწარმოებს ორგვარად: ცალობით და ბითუმად. კოოპერატივის სავაჭრო მოქმედება დღითი დღე იზრდება, ამას მოწმობს სავაჭრო დუქნების გავრცელება.

პირველ ხანებში მუშკოოპს ჰქონდა 7—8 დუქანი; ამჟამად კი აქვს 35 დუქანი. ა. წ. იანვარში სავაჭრო ბრუნვა აღწევდა 52 ათას მანეთს, აპრილში—89 ათას მანეთს, აგვისტოში—164 ათას მანეთს. (აგვისტოს შემდეგ ბრუნვა კლებულობს, რაც მრეწველობის საერთო კრიზისით აიხსნება), სექტემბერში—113 ათას მან., ოქტომბერში—136 ათასს მან., და ნოემბერში—142 ათას მან.

ბრუნვის შემცირება მოხდა უმთავრესად მანუფაქტურის ხარჯზე. მაშინ, როცა კრიზისამდე საერთო ბრუნვის 21 პროცენტი მანუფაქტურაზე მოდიოდა, სექტემბერში ეს რიცხვი 8 პროცენტამდე დაეცა. ამ ჟამად ფასების დაკლების გამო მანუფაქტურაზე მოთხოვნილება თანდათან მატულობს.

საშუალო ვაჭრობა (შაქარი, ჩაი, ასანთი და სხვა) მუშკოოპის ბრუნვაში საშუალოდ ყველა თვეებში აღემატება 30 პროცენტს.

საერთო ბრუნვის 21 პროცენტს ამ ჟამად წარმოადგენს პურით ვაჭრობა.

თვითეული დუქნის ბრუნვა წლის პირველ მეოთხედში უდრიდა 4,020 მანეთს, მეორე მეოთხედში 4035 მანეთს, მესამეში—5860 მან. ეს მუშკოოპის ბრუნვის შეუჩერებელი ზრდის მაჩვენებელია.

**მუშკოოპის მომავალი სავაჭრო მოქმედება.**

მუშკოოპის გამგეობა წამართავს მთელს რიგ ღონისძიებათა სავაჭრო პოლიტიკის სავსებით გადასახალისებლად.

თავის მოქმედების პირველ ხანებში მუშკოოპი ანგარიშს უწევდა კერძო ბაზარს. ამ ჟამად კოოპერაციის სურს ჩამოშორდეს ბაზარს და აწარმოოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა საქონლის მაქსიმალურად გაიაფების საფუძვლებზე.

ამ ღონისძიების ნაყოფიერი შედეგი დამოკიდებულია კოოპერაციის ფინანსიურ სალაროზე.

ამ ჟამად კოოპერაცია ძლიერია და შესძლებს ამ პოლიტიკის გატარებას.

**კოოპერაციის საწარმოო მუშაობა.**

კოოპერატივს აქვს 4 ფურნე, სადაც პირველ ხანებში ყოველდღიურად 40—60 ფუთი პური ცხვებოდა. ივლისიდან ეს რიცხვი შესამჩნევად გადიდდა.

ივლისში გამოცხვა—17 780 ფუთი პური, აგვისტოში—30.920 ფუთი, სექტემბერში 29.300 ფუთი. ამჟამად მუშკოოპი აცხობს ქალაქისათვის საჭირო პურის 25—30 პროც. მუშკოოპი ცდილობს ეს პროცენტი 70—80 პროცენტამდე აიყვანოს და ბაზარზე მონოპოლია დაიმკვიდროს.

განზრახულია პურის საცხობი მექანიკური ქარხნის მოწყობა, რასაც 400.000 ჩერვონეცის მანეთი სჭირდება.

ბორჩალოს მაზრაში კოოპერატივს აქვს ყველის საკეთებელი ქარხნები. ჩვენმა ყველმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 2 პრემია მიიღო (პირველ პრემია არავის არ მიუღია) ჰყავს 150 ძროხა.

მოქმედებს გალიტების დასამზადებელი ქარხანა „ესვესი“.

მუშკოოპმა მოაგვარა მარტყოფის, სართიჭალის და ყარაიაზის რაიონის გლეხების მიერ მოწოდებული რძის გასაღების საქმე. გლეხობა კოოპერაციას ნდობის თვალით უყურებს. ამით მიღწეულია გლეხობასთან დაკავშირება.

# მეცნიერება და ტექნიკა

**სასწაულმოქმედი წამალი.**

უკანასკნელი თვეების განმავლობაში უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდება ახალი საექიმო პრეპარატის—ადრენალინის შესახებ. ჟურნალების გადმოცემით, ადრენალინს ჯადოსნური თვისება აქვს—მას შეუძლია სიცოცხლის პროცესი განაახლოს ორგანიზმში. მას აწერენ რაღაც საიდუმლო თვისებებს, და თანდათანობით საზოგადოებაში მის შესახებ შექმნა წარმოდგენა თითქოს რაღაც სასწაულთმოქმედ ნივთიერებაზე, რომელიც წააგავს ალქიმიკების ცნობილ ფილოსოფიურ ქვას ან სიცოცხლის ელექსირს.

ნამდვილათ კი ადრენალინს არ შეიძლება ეწოდოს ახალი წამალი, რადგან მის მრავალ თვისებებს იცნობდენ ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ. მაგრამ მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოახდინეს ექიმებმა მთელი რიგი წარმატებით დამთავრებული ცდები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის მაგალითად მკვდრად დაბადებული ბავშების გაცოცხლება.

ადრენალინი პირველათ აღმოაჩინა ფრანგმა ქიმიკოსმა და ფიზიკოსმა ვულპიანმა 1856 წელს თირკმლების ზევით მდებარე ჯირკვლებში. თირკმლების ზევით მდებარე ჯირკვლები ეკუთვნის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების რიცხვს. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების როლი მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში გააშუქა მეცნიერებამ. ისიც ნაწილობრივ, ის გამოყოფს ნივთიერებას, რომელიც ცნობილია ადრენალინის ანუ სუპრარენინის სახელით. ეს ნივთიერება წარმოადგენს მიზეზს, რომელიც იწვევს არტერიების შეკუმშვას და სისხლის მიწოლის გაძლიერებას.

ადრენალინის ეს თვისება აღმოაჩინეს მხოლოდ 1894 წელს. პირველათ ადრენალინი მიიღეს ცხვრების და ხარების თირკმლების ზევით მდებარე ჯირკვლებიდან. მხოლოდ 1900 წ. ცნობილმა იაპონელმა ექიმმა და ქიმიკოსმა იოკი-ტაკამინემ მიიღო ადრენალინი წმინდა სახით. ადრენალინის კრისტალები თეთრი ფერის არის, თითქმის არ იხსნება წყალში და მწარე გემო აქვს. ექიმ ტაკამინეს პრეპარატმა საშუალება მისცა მეცნიერებს გამოერკვიათ ადრენალინის ფიზიოლოგიური მოქმედება.

ადრენალინის უკანასკნელ და შესანიშნავ გამოყენებას წარმოადგენს მისი შეშხაპუნება გულის კუნთებში. გამოცდების მთელმა რიგმა დაამტკიცა, რომ მკვდარი გული, განსაკუთრებით ახლად დაბადებული ბავშვის, ადრენალინის ზეგავლენით კვლავ იწყებს მოქმედებას.

ადრენალინს ხმარობენ აგრეთვე თვალის, ცხვირის და ყელის გაჭრის (ოპერაციების) დროს. ადრენალინის შეშხაპუნება იწვევს სისხლის სადენი მილების შეკუმშვას და ხელს უშლის სისხლის მოდინებას გასაჭრელ ორგანოებთან.

როგორც სჩანს, ადრენალინი მართლაც სასწაულთმოქმედი ნივთიერებაა. მაგრამ მიუხედავად ამისა ის არ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ავადმყოფობათა განმკურნებელ და მით უფრო მკვდრების გამაცოცხლებელ საშუალებათ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია ადრენალინს განაახლოს გულის შეჩერებული მოქმედება. შესაძლებელია, რომ შემდეგი ცდები გამოარკვევენ ამ ჯადოსნური ნივთიერების ახალ განსაცვიფრებელ თვისებებს.

# ქრონიკა

— **სამეურნეო ტეხნიკუმები.** მიწათმოქმედების და განათლების კომისარიატების ხარჯზე აყვანილია ტფილისის და ქუთაისის სამეურნეო ტეხნიკუმები და ლანჩხუთის ძველი სენაკის და წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლები.

— **სახალხო კომიტეტების ფონდში.** ახალციხის მაზრაში აწყურის, ლოპის, ვეროხის, გრაკლის, უდის და ტოვენის თემებში მცხოვრებმა გლეხებმა სახალხო კომიტეტების ფონდებში შეიტანეს 2610 ფ. ხორბალი და 40 სული ცხვარი.

— **რევოლუციის წინაშე დამსახურებულ მოღვაწეთა უზრუნველყოფ.** ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაარსა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეადგინოს სია იმ მოღვაწეთა, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რევოლიუციის წინაშე, მათი შრომის უნარდაკარგვის დროის უზრუნველსაყოფად.

— **ტყეების აღწერა.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს ტყეების აღწერას. ჯერ-ჯერობით აღწერილია 13.000 დესეტინა ქართლის და სიღნაღის მაზრებში.

— **დახმარება შრომის და ომის ინვალიდებს.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ახალციხის მაზრაში ნოემბერში შრომისა და ომის ინვალიდებს პენსიისა და დახმარების სახით მისცა 18 მილიარდი და 240 მილიონი მან.

— **ბაზრობა დუშეთში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დუშეთის მაზრის აღმასკომს დუშეთში ბაზრობის მოსაწყობად სესხის სახით გადასცა 250 მან ჩერ. ბაზრობიდან შემოსული თანხის ნაწილი გადაეცემა გლეხთა სამაზრო კომიტეტს.

— **ახალი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მიერ სოფლებ მეჩოში (ზემო-სვანეთში) და ჯუმათში (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები.

— **დაზღვეულ უმუშევართა დახმარება.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ დეკემბრის პირველ ნახევარში დაზღვეულ უმუშევრებს დახმარების სახით მისცა 145,676,056 მანეთი.

— **უმუშევართა სასადილო.** შრომის ბირჟის დადგენილებით უმუშევართა სასადილოებს, უმუშევართ შეუძლიათ უფასოდ ისადილონ 2 თვის განმავლობაში, რომლის შემდეგ საჭიროა ხელ-ახალი ნებართვა.

— **არტელებიდან შემოსავლის განაწილება.** შრომის ბირჟამ გადაწყვიტა უმუშევართა არტელების შემოსავალი გაანაწილოს სამ ნაწილად. პირველი ნაწილი გადაიდება უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეორე ნაწილი—არტელების წარმოების გასაუმჯობესებლად, ხოლო მესამე ნაწილი არტელების წევრებისათვის.

— **ეკლესიის მაგივრად ელექტრონული სადგური.** სამტრედიის აღმასკომმა ადგილობრივ არსებულ დიდ ეკლესიის შენობაში ააგო ელექტრონის სადგური, რომელიც მთელ ქალაქს აწვდის ელექტრონის სინათლეს.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური მდ. აბაშაზე.** საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტმა მდ. აბაშაზე, წყლით მამოძრავებელ ელექტრონის სადგურის ასაგებათ გაგზავნა ინჟინრები ამხ. ქიქინაძე და ვასილიევსკი. სადგურის ასაგები გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა დამტკიცებულია.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 18 დეკემ. შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 215 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 66. სამუშაოზე გაიგზავნა—36.

— **ადგილობრივი მიწისძვრა.** 18 დეკემბერს საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 20 საათზე და 24 წ. აღნიშნულია ახლომდებარე მიწისძვრა კერა დაშორებულია 105 კილომეტრით. მიმართულება სამხრეთ — სამხრეთ-აღმოსავლეთი.

### შემთხვევები

— **ქურდი ცოლი.** 17 დეკემბერს, დღის 12 საათზე, (გრიბნის ქ. № 2) მოქ. ალექსანდრე ხუციშვილის ცოლს — მარიამ ვასილის ასული ხუციშვილისას გაუტანია სახლიდან სხვადასხვა ნივთები ღირებული 30 ჩერვონეცის და მიმალულა. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

— **ყაჩაღის მოკვლა.** 17 დეკემბერს, სოფ. ავჭალაში ადგილობრივი მილიციის მიერ მოკლულ იქნა ყაჩაღი დოლიძე. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **შეპყრობა.** 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ბათუმის ქ. მდებარეს სახლის № 20 ეზოში დაპატიმრებულ იქნა ხაჩატურ-ხაჩატუროვი, რომელიც აპირებდა წყლის მილის მოხსნას.

— **ყალბი ქვითრის შემდგენის შეპყრობა.** 16 დეკემბერს, შეიპყრეს არმენაკ აველიქოვი, რომელსაც ბრალდებოდა ყალბი ქვითრის შედგენა, რათა ქ. აღმასკომში არ შეეტანა საიჯარო გადასახადი.

— **ერთი ბოთლი არაყის ქურდი.** 16 დეკემბერს, შეიპყრეს ნესტორ ნაკაშიძე, რომელმაც მოქ. კულიევისთვის მოიპარა ერთი ბოთლი არაყი.

— **შეპყრობა.** 17 დეკემბერს, შეიპყრეს ალექსანდრე გუკასოვი, რომელსაც ბრალდება მოქ. მიხეილ ჩოკიროვისაგან რამდენიმე არშინი ფართლეულობის გამოტყუება.

# ხელოვნება

## სახელმწიფო ოპერა

**„თავადი იგორი“—შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით.**

16 დეკემბერს სახელმწიფო საოპერო თეატრის სცენაზე დადგმული იყო ოპერა „თავადი იგორი“ შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით.

წარმოდგენაში მთავარ ინტერესს იწვევდა პრემიერ ქალის პანკრატოვას მიერ იაროსლავნას პარტიის შესრულება, რომელიც მეტად ძნელია როგორც შინაარსის, ისე ტესიტურის მხრივ.

ნიჭიერმა მსახიობმა მშვენივრად გადმოგვცა პარტიის როგორც ვოკალური, ისე დრამატიული მხარე. პირველ მოქმედებაში პანკრატოვამ ჩვეულებრივი სისრულით გადმოგვცა შესავალი მონოლოგი.

მაგრამ, შესრულებას სთუკეთესო ადგილია—მეორე აქტი: არია, ვლადიმერ გალიცკის სცენა სოფლელ ქალებთან და ფინალი. არიაში მსახიობი აქსოვს ბევრ ლირიზმს და განწყობილებას, ტემპერამენტით იყო შესრულებული სცენა ძმასთან—თავხედ თავად გალიცკისთან, სადაც მსახიობმა ხაზი გაუსვა თავის, როგორც სახელმწიფოს მმართველის, ღირსებას და მნიშვნელობას. დიდის აღტკინებით და დინამიკით იყო შესრულებული სცენა თავადებთან.

მსახიობის საუცხოვო დრამატიულმა ხმამ თავისი ხმოვანებით დაფარა გუნდი და ის ლამაზათ გამოკრთოდა ორკესტრის ფონზე. კარგათ იყო შესრულებული „იაროსლავნას ტირილი“-ც, მხოლოდ აქ უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ინტუიცია და ლირიზმი, ვიდრე legato-თი სიმღერა. ჩვენის აზრით, ამით უფრო დაცული იქნება ამ არიის ხასიათი.

იგორის პარტიას პირველად მღეროდა ქარცივაძე. მსახიობი წარსულ სეზონთან შედარებით წარმატებით მიდის წინ: მას აქვს უკვე ფრაზირება და რამდენიმედ კანტილენაც. სამწუხარო იქნება, თუ მომღერალი ამით დაკმაყოფილდა და შეანელა მუშაობა.

გაუგებარია, რისთვის იწევს მომღერალი ხმის ფორსირობას (მთელი პირველი მონოლოგი, დიალოგი კონჩაკთან და არია),—მას ისედაც მძლავრი ხმა აქვს. პირიქით, საჭიროა, რომ მომღერალმა მეტი ხმოვანება და გამჭვირვალება გამოიჩინოს სიმღერაში; ის უნდა ეცადოს, რომ უკეთეს კანტილენას მიაღწიოს.

პარტიის სცენიური მხარის გადმოცემაში მსახიობს აკლდა დასურათების მრავალფეროვნება. მსახიობმა შესაფერი მიმიკით უნდა გამოხატოს შინაგანი განცდა.

შესრულების ყველა ამ მხარეებს ქარცივაძემ უნდა მიაქციოს ყურადღება. შემდეგ საჭიროა ფრაზიროვკის დეტალურათ დამუშავება; მსახიობს აკლია სიმტკიცე გამოთვლებში.

ქარცივაძეს აქვს სცენიური ნიჭი, მხოლოდ საჭიროა მისი დამუშავება.

კარგებია რიბონე (კონჩაკოვნა), ისეცკი (კონჩაკი), დემიანენკო (სკულა) და საბინინი (ვლად. გალიცკი).

პოლოველ ქალის პარტიას მღეროდა გილბერტი. მსახიობს მშვენიერი ხმა აქვს, მხოლოდ საჭიროა უფრო განწყობილებით სიმღერა.

თუმანიშვილი (ოვნური) ბარიტონის ამპლუადან გადავიდა ტენორის ამპლუაზე. ძნელი სათქმელია, ოვნურის ეპიზოდიურ პარტიის მიხედვით, რამდენათ მიზანშეწონილია ეს მეტამორფოზა მომღერალის კარიერისათვის, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ თუმანიშვილმა ადვილათ დასძლია ტენორის ტესიტურა და ის ისევე მუსიკალურათ მღეროდა, როგორც ყოველთვის.

სასურველია მოვუსმინოთ მომღერალს უფრო ბასისებურ პარტიაში.

საუცხოვოთ არის დადგმული ბალეტი ლეონოვას, ანდრეევას და ჩებუკიანის მონაწილეობით; მამაკაცთაგან ცეკვავდენ ლიტვინენკო, ზაბუდაროვი და სერგეევი.

პოლოველთა ბანაკში გუნდი ვერ მღერის სასწორით.

პ. ზუბუთოვა.

— **ქართული კალენდარი.** სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ქართული კედლის კალენდარი 1924 წლისათვის. კალენდარი შედგენილია პ. ზუმბაძის მიერ.

— **თვითმშრომელთა კლუბში.** ხუთშაბათს, 20 დეკემბერს თვითმშრომელთა კლუბში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო წარმოდგენით.

— **კ. გამსახურდიას მოხსენება.** ახლო ხანში კ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „ლიტერატურული პარიზი“.

— **მამის მკვლელი.** საქ. კინო ტრესტის მრეწველობა ახლო ხანში დაამთავრებს ყაზბეგის მოთხრობის „მამის მკვლელის“ ლენტზე გადაღებას.

### დღეს თეატრებში.

— **რუსთაველის თეატრი.** პირველად—„ოიდიპოს მეფე“ ა. იმედაშვილის მონაწილეობით.

— **სახელმწიფო ოპერა.** მეორედ ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

# პროვინციაში

## ხონის მაზრის საბჭოთა მეორე ყრილობა

**მეორე სხდომა.**

მეორე სხდომა გახსნილ იქნა 2 დეკემბერს დილის 10 საათზე. დაესწრენ ამხ. მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, ს. გეგეჭკორი.

ყრილობამ პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: ს. მამულია, შაკარი ბედია, ათ. კოკაია, ვ. ნოდია, ა. ოჩიგავა, პ. ჩარგაზია, დ. გოგიავა, ქობულია და ვარვარა ქობულია; სამდივნოში—კ. მელიქაძე, ერ. შალამბერიძე და მ. ფირცხალავა; სამანდატო კომისიაში: ვ. ჩაკვეტაძე, ს. თურქია და ი. გვასალია; საპატიო თავმჯდომარეებად: ამხ. ლენინი, ტროცკი, ცხაკაია, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე და გეგეჭკორი.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, ამიერ-კავკასიის ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცეკას, საქართველოს ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს.

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) ს. ს. რ. კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა, 2) სამაზრო აღმასკომის ანგარიში, 3) ფინანსიური საგადასახადო პოლიტიკა და ადგილობრივი ბიუჯეტი, 4) მორიგი ამოცანები სასოფლო მეურნეობის და საბჭოთა აღმშენებლობისა მაზრაში, 5) მორიგი ამოცანები კულტურულ განმანათლებელ მუშაობისა და სახალხო განათლების დარგში, 6) სამაზრო საარჩევნო კომისიის მოხსენება, 7) სამანდატო კომისიის მოხსენება და 8) არჩევნები.

ს. ს. რ. კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მამია ორახელაშვილმა; ის ფართედ შეეხო რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას. ამ ბრძოლის შედეგებს, დღევანდელ საბჭოთა რესპუბლიკების, დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, დასავლეთ სახელმწიფოებში გამეფებულ ქაოსს, ევროპის მუშათა კლასის მდგომარეობას, გერმანიის უკანასკნელ ამბებში მეორე ინტერნაციონალის გამცემლურ როლს, ფაშიზმის მოძრაობას გერმანიაში და დაასკვნის, რომ ახლო მომავალში აუცილებელია საბოლოო შეტაკება მსოფლიო ბურჟუაზიასა და მუშათა კლასის შორის, რომელიც უკანასკნელის გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს. მოხსენების გამო მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია. დღის 2 საათზე სხდომა დაიხურა, რის შემდეგ დელეგატების საპატივცემოდ ქალაქის ბაღში გაიმართა სპარტაკის ალლუმი და სხვადასხვა გიმნასტიური ვარჯიშობა. სპარტაკელებს მიესალმა ამხ. ცხაკაია, რომელმაც აღნიშნა მოზარდ თაობის როლი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში. შემდეგ დელეგატები მიპატიჟებულ იქნენ სადილზე, სადაც დაესწრნენ ცხაკაია, ორახელაშვილი და გეგეჭკორი. სადილის შემდეგ სტუმრები გაემართნენ დელეგატების თანხლებით სადგურისაკენ. საღამოს 6 საათზე მატარებლით ძვირფასი სტუმრები გაემგზავრნენ ტფილისში.

**მესამე სხდომა.**

სხდომა გაიხსნა 2 დეკემბერს საღამოს 6 საათზე. თავმჯდომარეობდა ამხ. შ. ბედია. მოხსენება გააკეთა ამხ. მამულიამ აღმასკომის მუშაობის შესახებ. დელეგატები აღმასკომის მუშაობით დარჩნენ კმაყოფილნი. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: სენაკის მაზრის აღმასკომის მუშაობა ცნობილ იქნას სრულიად დამაკმაყოფილებლად, ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობისათვის მეორე საბჭოთა ყრილობა უცხადებს აღმასკომს და მის პრეზიდიუმს ამხანაგურ მადლობას. საღამოს 10 საათზე სხდომა იხურება.

**მეოთხე სხდომა.**

სხდომა გახსნილ იქნა 3 დეკემბერს დილის 9 საათზე. მოხსენება გააკეთა ამხ. კ. მელიქაძემ მაზრის ფინანსიურ-საგადასახადო პოლიტიკის და ბიუჯეტის შესახებ. მოხსენების გამო იქნა გამოტანილი შესაფერი დადგენილება.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ქობულია კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ. სამეურნეო ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სამ. მამულიამ, რომელმაც საჭიროდ სცნო სამეურნეო იარაღების გაუმჯობესება, გლეხთაგან არტელების და კომუნების შექმნა სხვადასხვა იარაღების შეძენის გასაადვილებლად. ილაპარაკა ჭაობიან ადგილების ამოშრობაზე და სხვა. თეზისები მოხსენებისა მიღებულ იქნა საფუძვლად.

საარჩევნო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ კ. მელიქაძემ მცხოვრებთა რიცხვი მაზრაში არის 156000 არჩევნებში ხმის უფლება ჰქონდა 153 319; ხმის უფლებას მოკლებულია 3 643; საბჭოების შემადგენლობა: კომუნისტები—614 მამრ. სქესი, 7 დედრობითი; უპარტიო 414 მამრობითი სქესის, 56 დედრობითი სქესის; ახალგაზრდა კომკავშირის წევრები 132 მამრობითი სქესის, 13 დედრობითი სქესისა, სულ საბჭოების წევრთა რიცხვი უდრის 13 6 რაიაღმასკომები არჩეულია მარტვილში, ნოქალაქევში, სალხინოში, აბაშაში, ახალსენაკში, ზანძში და ძველ-სენაკში. სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. გვასალია; ყრილობაზე წარმოდგენილია 155 დელეგატი, გადამწყვეტი ხმით 153, სათათბიროთი 2. ყრილობას დაესწრო 145, მათგან გადამწყვეტი ხმით 143 დელეგატი, სათათბირო ხმით 2 დელეგატი, არ გამოცხადებულა 10 დელეგატი. შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნა სამაზრო აღმასკომი 15 წევრისაგან შემდგარი, აგრეთვე არჩეულ იქნა 15 დელეგატი სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობაზე. სრულ საღამოს 8 საათზე ყრილობა ინტერნაციონალის სიმღერით დაიხურა.

ე. შალ ძე.

# ღია წერილი „ქართული სიტყვის“ რედაქციას

ჩვენი საპასუხო წერილი მოქალაქე იაკობ ზედგინიძის წერილის შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო „ქართული სიტყვის“ მე 3 №-ში, როგორც თქვენ გვაცხადეთ, უადგილობის გამო ვერ დაიბეჭდა თქვენი გაზეთის ვერც მე 4 და ვერც მე 5 №-ში. ახლა გთხოვთ ხსენებული ჩვენი პასუხი: „რა აწუხებს მოქ იაკობ ზედგინიძეს“ გადაბეჭდოთ „კომუნისტის“ № 292 დან თქვენი გაზეთის უმახლობელს ნომერში.

გ. ჭუმბურიძე, თ. კოკვაძე, ზ. მგელაძე.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის განმარტება**

**შრომის კანონთა კოდექსის 93 მუხლის შესახებ.**

**1923 წ. დეკემბრის 17.**

ამით განიმარტება, რომ შრომის კანონთა კოდექსის 93 მუხლში გათვალისწინებული მოვალეობა, დამქირავებლის შეუძლებლობის შემთხვევაში კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებების პირველ რიგში დაკმაყოფილების შესახებ, გაგებული უნდა იქნეს იმ აზრით, რომ ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნენ უპირველესად სავსებით, მიუხედავად იმისა, არსებობენ თუ არა ამ მოთხოვნილებებთან მოცილე სხვა პრეტენზიებიც თუ გინდ ისინი იყვნენ მოთხოვნილებები უდავო გადასახადებზე სახელმწიფოს სასარგებლოდ, როგორც მაგალ. გადასახადები, ჯარიმები ბაჟები და სხვ.

ეს განმარტება იმყოფება რ. ს. ფ. ს. რ. სამოქალაქო პროცესუალური კოდექსის 266 მუხლის უკანასკნელ რედაქციასთან სრულ თანაბრობაში.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარი—ს. იაკუბოვი.

ა. კ. შრ. სახ. კომ. საერთო საორგ. განყ. გამგე—ორლოვ-მალახოვი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**პარტიული**

ს. კ. პ. ტ. ო. მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე, მუშკოოპის ბინაზე მოხდება დელეგატ ქალების კრება.

სავალდებულოა დასწრება ქალთა ყველა ორგანიზატორებისა და დელეგატ ქალებისა.

მდივანი ნაზაროვი.

**პროფესიული.**

**განათლების მუშაკთა სახლში.**

— პარასკევს, 21 დეკემბერს საღ. 7 საათ. არა რუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა წრის კრება. 1. ხოროზოვის ცნობები წერით ვარჯიშობათა სახეობების შესახებ.

— პარასკევს, 21 დეკემბერს საღ 6 საათ. არა ქართული ენის სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა წრეში: 1. საუბარი ქართული ენის სწავლების საკითხის შესახებ.

განათლ. სახლის გამგე შიუკაშვილი.

ც. გ. საქმეთა მმართველი ბარამიძე.

# განცხადებანი

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე ნაკაშიძე, დედა კესარია დავითის ასული, დები: კატო, მარო, ქსენია, ლიუბა და ელენა, ობლები: ქსენია და ლიუბა, ძმები ალექსანდრე და ვალოდია ნიკოლოზის ძენი გელიშვილები, აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს—17 ამა თვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარ

თამარა ნიკოლოზის ასულის

უდროოდ გარდაცვალებას. პარაკლისი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 20 დეკემბერს 2 საათზე 6 ძალადეფიდან, ბაცინის ქუჩა № 19 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 293—2—2

## რწმუნების ქაღალდი

ჩემ მიერ მიცემული 1923 წ. 1 ივნისის თარიღით № 1767. სამსონ მეთოდის ძე ენუქიძისათვის, ტფილისის ნატარიუს ქართველიშვილის კანტორაში, დღეიდან გაუქმებულად ჩაითვალოს.

295 1—1 მალაქია გოცირიძე.

# ამინდი ამიერკავკასიაში

18 დეკემბერი, დილის 7 საათი

**ტემპერატ.** (ცელსიით): სოხუმში... 7 გრ., ფოთში .. 8 გრ., ბათუმში.... 9 გრ., სამტრედიაში.... 5 გრ., აჯამეთში... 5 გრ., ქიათურაში 4 გრ., ბორჯომში... 1 გრ., სურამში... 0 გრ., ტფილისში... 2 გრ., ერივანში.... 1 გრ., მუკუზანში.... 3 გრ., ბაქო... 7 გრ., (ქუთაისიდან და წიფიდან ცნობები არ არის).

**ღრუბლიანობა:** ბაქოში — სულ მცირე; ბათუმში და მუკუზანში—მეტად საგრძნობი; დანარჩენ ადგილებში სრული.

**ქარის ქროლა:** ფოთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი, ბათუმში—აღმოსავლეთის, ნელი. ქიათურაში—ჩრდილოეთის, მსუბუქი. ბაქოში—სამხრეთ-დასავლეთის, ზომიერი.

**ნალექი:** სულ მცირე სურამში და აჯამეთში; უმნიშვნელო სოხუმში, ფოთში, ბათუმში, სამტრედიაში. ბაქოში ძლიერი წვიმა დილით. ერევანში ღამით თოვლიც მოვიდა.

**ზღვის მდგომარეობა** ნაპირებ ფოთში, ბათუმში, [illegible] ბაქოში [illegible]

**ამინდი [illegible]**

(ცვალებადი ღრუბლიანობა. და ლეთ საქართველოში და ალაგ ა აღმოსავლეთშიაც არის ნალექი. ვი ზღვის განაპირა ადგილებში მიერი ქარია ჩრდილოეთ-დასავ თის მიმართულებით. აღმოსავ საქართველოში ალაგ-ალაგ ყინვ

### ჩრდილოეთ-კავკასიაში

18 დეკემბერი, დილის 7 საა

**კავკაზი:** ტემპერატურა .. 3 უმნიშვნელო ღრუბლიანობა, სამხრეთის ნელი ქარი.

**[illegible]:** ტემპერატურა... 2 უმნიშვნელო ღრუბლიანობა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

### ტფილისი

19 დეკემბერი, დღის 1 საათი

**ტემპერატურა:** 6 გრ.

**ღრუბლიანობა:** უმნიშვნელო.

**ქარის ქროლა:** ჩრდილოეთ-დასავლეთის, ზომიერი.

## საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ლითონის განყოფილების სამმართველო

## გადავიდა

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, № 115, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში.

ტელეფონი 14—51

კრ. 788 5—1. კოლეგია.

## საქართველოს სახსასურ-კომის თევზის სავაჭროს

(პუშკინის ქუჩა, ყოფილი სემინარიის შენობაში)

მოსდის ყოველ დღე ახალ-ახალი

## თევზი

(ლოქო და კობრი)

თავის საკუთარი თევზის სამრეწველოებიდან.

ფასი: ბითუმად—2 მ. ნ. ფუთი.
წვრილად—7 კაპ. გირვ.

297 2 1

## საქ. სახალხო ბანკის ქუთაისის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 დეკემბერს, კვირას, დილის 12 საათზე, ბანკის ბინაზე, ქ. ქუთაისში, საბჭოთა ქუჩაზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

„უნიონის“ სისტემის დინამო-მანქანისა, მუდმივი დენის, ბორბლით, ტოტალი აღმძრით 95 მალ. დინამო, რომელიც დაგირავებული იყო რაჭის სამაზრო აღმასკომის მიერ, იყიდება ვალდებულების 6 და 8 პარ. ძალით, დროზე გამოუყიდველობის გამო.

თავნი ვალი 233,49 ჩერვონეცი, რომელსაც დაერიცხება პროცენტები და სხვა ხარჯები.

გაცნობა ვაჭრობის პირობებისა და მანქანის ნახვა შეიძლება ბანკის ბინაზე, ყოველ დღე, 10—2 საათ., გარდა კვირა-უქმისა.

778—5—3 საქ. ბანკის ქუთაისის განყოფილება.

## საქართველოს ს. მ. უ. ს. ტყავის ტრესტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 22 დეკემბერს, დღის 12 საათზე საწყობის შენობაში კომუნალურ (ყოფ. ვორონცოვის) ქუჩაზე 44, გაიმართება

## საჯარო ვაჭრობა

8.000 ფუთი მთრიმლავ მასალის „სუმახის“ (თრიმლის) გასაყიდათ.

მთრიმლავ მასალის დათვალიერება და საჯარო ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება ტყავის ტრესტის მთავარ კანტორაში (კომუნალური ქუჩა, 82) ყოველ დღე დილის 10-დან 2 საათამდე.

კრ. 789 1—1 ს. ს. მ. უ. ს. ტყავის ტრესტი.

## პროფესორი გ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—4

**დავკარგე** პირადობის მოწმობა ოლღა ბენიაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 296 1—1

**დავკარგე** პირადობის მოწმობა № 486 ალექსი გამხუაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 294 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სამ. [illegible] ქუჩა, № 4.